წინამდებარე შრომაში შევისწავლეთ სისხლისა და პლაზმის გადასხმის გავლენა რეპეცირებული ღვიძლის ფუნქციურ მდგომარეობაზე, რომლის შესაფასებლად გამოვიყენეთ სისხლის შრატის ზოგიერთი ფერმენტის — ქინინოქსიდაზას, სორბიტდეჰიდროგენაზას, ლაქტატდეჰიდროგენაზასა და ტუტე ფოსფატაზას აქტივობის ცვლილებები. ამ მიმართულებით ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე შესაიღო გახდა გვესჯელა როგორც ღვიძლის რეპეცივის შემდეგ ხიფთიერებათა ცვლის ზოგიერთი რგოლის დარღვევის ხარისხზე, ისე რეპეცირებული ღვიძლის სისხლითა და პლაზმით მკურნალობის ეფექტურობაზე.

ექსპერიმენტი ჩატარეთ ჯანმრთელ უჯიშო 28 ძალღზე. აქედან 5 ძალი გავაერთიანეთ საკონტროლო ჯგუფში, რადგან მათ გაუქეთდათ მხოლოდ ლაპარატომია. დანარჩენი 23 ცხოველი, რომელთაც ჩაუტარდათ ღვიძლის 40—45% ოდენობით რეპეცია, დაყავით 3 ჯგუფად: პირველ ჯგუფში შევიყვანეთ ის ცხოველები, რომლებსაც გაუქეთდათ მხოლოდ რეპეცია (7 ძალი); მეორე ჯგუფში გავაერთიანეთ ცხოველები (8 ძალი), რომლებსაც ღვიძლის რეპეციის შემდეგ ორჯერადად გადაესხათ ახლადდაშადებული მთლიანი სისხლი რეპეციიდან მე-2 და მე-4 დღეს, დოზით 10 მლ/კგ წონაზე; ხოლო მესამე ჯგუფს (8 ძალი) შეადგინა ცხოველებმა, რომლებსაც რეპეციის შემდეგ გადაესხათ პლაზმა იმავე პირობების დაცვით.

ბიოქიმიურ მაჩვენებლებს ვსწავლობდით დინამიკაში — რეპეციამდე და რეპეციის შემდეგ, ვიდრე ეს მაჩვენებლები არ დაუბრუნდებოდა საწყის მონაცემებს. ქინინოქსიდაზას აქტივობას ვსაზღვრავდით რომანისა და დულმანის მიერ მოდიფიცირებული ბაიერის მეთოდით, სორბიტდეჰიდროგენაზას აქტივობის გამოკვლევისათვის გამოვიყენეთ ვარბურგის ოპტიკური სინჯი; ლაქტატდეჰიდროგენაზას აქტივობას ვადგენდით სეველასა და ტოვარეის მეთოდით, ხოლო ტუტე ფოსფატაზას აქტივობას — ბოდანსკის მეთოდით.

გამოკვლევის შედეგები დამუშავებულია მათემატიკური სტატისტიკის მეთოდით. ცხრილის ნაჩვენებია მიღებული მონაცემები საშუალო არითმეტიკულისა და საშუალო შეცდომის სახით.

ცხრილის მონაცემების ანალიზით ირკვევა, რომ საკონტროლო ჯგუფის ყველა ცხოველის სისხლის შრატში ჩვენს მიერ გამოკვლეულ ფერმენტთა აქტივობა ხასიათდება ერთმანეთის ანალოგიური ცვლილებებით. ლაპარატომიიდან მე-2 დღეს ადგილი აქვს აქტივობის სუსტად გამოხატულ მატებას, რაც სწრაფადვე კლებულობს და უკვე მე-5 დღეს ოპერაციამდელი დონის ტოლია.

პირველი ჯგუფის ცხოველების სისხლის შრატში ქინინოქსიდაზას აქტივობა ღვიძლის რეპეციამდე მერყეობს ნორმის ფარგლებში. რეპეციიდან უკვე მეორე დღეს აღინიშნება აქტივობის მკვეთრი (ხუთჯერ და უფრო მე-

ტად) ზრდა. მიღწეულ დონეს უმნიშვნელო მერყეობით იგი ინარჩუნებს მესამე დღესაც. შემდეგ კი იწყებს თანდათანობით შემცირებას და რეზექციიდან მე-11 დღეს უბრუნდება ნორმის საზღვრებს ($p > 0,5$). მეორე ჯგუფის ცხოველებში ქინიოქსიდაზას აქტივობის ცვლილებები ანალოგიურია პირველ ჯგუფში აღნიშნული ცვლილებებისა, მაგრამ არ შეიძლება ყურადღების გარეშე დავტოვოთ ის ფაქტი, რომ ამ ჯგუფის ცხოველების სისხლის შრატში ქინიოქსიდაზას აქტივობა საწყის — ოპერაციამდე დონეს უბრუნდება უფრო ადრეულ ვადაში, რეზექციიდან მე-8 დღეს ($p > 0,1$). იმ ცხოველების სისხლის შრატში კი, რომელთაც რეზექციის შემდეგ გადაესხათ პლაზმა (მესამე ჯგუფი), ქინიოქსიდაზას აქტივობის ზრდა გამოხატულია უფრო ნაკლები ინტენსივობით და ხასიათდება პირველ და მეორე ჯგუფებთან შედარებით მატების ხანმოკლე ვადით. რეზექციიდან მე-2—მე-3 დღეს აქტივობა საწყის დონესთან შედარებით მომატებულია მხოლოდ სამჯერ და გამოკვლევის მე-5 დღეს უკვე ტოლია რეზექციამდე არსებული დონისა.

სისხლის შრატის ქინიოქსიდაზას, სორბიტდეჰიდროგენაზას, ლაქტატდეჰიდროგენაზასა და ტუტე ფოსფატაზას აქტივობის ცვლილება ღვიძლის რეზექციისა და ტრანსფუზიული თერაპიის შემდეგ

ფერმენტები	გამოსაკვლევი ჯგუფები	ოპერაციამდე	ღვიძლის რეზექციის შემდგომი დღეები				
			II	III	V	VIII	XI
ქინინოქსიდაზას აქტივობა (ერთეულები)	საკონტრ. პირველი მეორე მესამე	4,6±1,0 6,0±1,0 1,0±0,3	8,6±1,8 31,0±3,4 24,0±1,2	8,2±0,8 29,0±2,2 31,0±3,2	4,6±1,0 23,0±2,4 24,0±2,1	12,0±2,9 5,0±0,3	6,0±1,4
	საკონტრ. პირველი მეორე მესამე	1,4±0,3 1,4±0,2 1,1±0,2 1,3±0,2	1,8±0,4 4,8±0,5 4,0±0,1 4,6±0,1	1,7±0,3 4,1±0,9 3,3±0,1 4,8±0,1	1,2±0,2 4,4±0,8 3,1±0,5 2,7±0,4	3,0±0,5 2,0±0,3 1,2±0,3	1,5±0,3 1,2±0,2
ლაქტატდეჰიდროგენაზას აქტივობა მკობლებში	საკონტრ. პირველი მეორე მესამე	2,9±0,1 2,5±0,4 1,7±0,2 2,3±0,4	3,0±0,4 3,3±0,4 3,0±0,1 4,9±1,7	2,3±0,4 4,7±0,4 3,9±0,1 5,3±1,1	2,5±0,5 4,6±0,8 3,0±0,5 4,2±0,7	3,6±0,1 1,9±0,4 2,0±0,4	2,7±0,5 1,9±0,3
	საკონტრ. პირველი მეორე მესამე	1,1±0,3 1,2±0,2 1,4±0,2 1,8±0,3	1,8±0,4 6,8±0,7 6,0±0,6 5,7±0,1	1,3±0,3 7,6±1,1 5,4±0,4 6,2±0,1	1,4±0,2 5,2±1,1 5,0±0,5 3,8±0,5	4,4±0,7 2,8±0,1 1,3±0,3	3,1±0,4 1,6±0,3

სორბიტდეჰიდროგენაზას აქტივობა პირველი ჯგუფის ცხოველების სისხლის შრატში, საწყის მაჩვენებლებთან შედარებით, რეზექციიდან მე-2 დღეს გაზრდილია სამჯერ და უფრო მეტად. აღნიშნულ დონეს უმნიშვნელო მერყეობით იგი ინარჩუნებს ოპერაციიდან პირველი 5 დღის განმავლობაში, რის შემდეგ იწყებს კლებას და გამოკვლევის მე-11 დღეს უბრუნდება ოპერაციამდე მონაცემებს. მეორე და მესამე ჯგუფის ცხოველების გამოკვლევისას რეზექციამდე და მის შემდეგ მიღებული მონაცემები მსგავსია პირველ ჯგუფში მიღებული მონაცემებისა, მაგრამ განსხვავებით მისგან სორბიტდეჰიდროგენაზას აქტივობა მეორე ჯგუფის ცხოველების სისხლის შრატში გამოხატულია უფრო ნაკლები ინტენსივობით, ხოლო მესამე ჯგუფის ცხოველებ-

ში უფრო ხანმოკლე მატებითაც. ამ ფერმენტის აქტივობა რეზექციიდან მე-8 დღეს უკვე აღარ განსხვავდება ოპერაციამდელი მონაცემებისაგან ($p > 0,5$).

ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკვლევებით დადგინდა, რომ ლაქტატდეჰიდროგენაზას აქტივობა პირველი ჯგუფის ცხოველების სისხლის შრატში, საწყის დონესთან შედარებით, სარწმუნო სხვაობას მატების სახით ვაძლევს ოპერაციიდან მხოლოდ მე-3 და მე-5 დღეს. მეორე და მესამე ჯგუფის ცხოველებში, რომელთაც მკურნალობა ჩაუტარდათ შესაბამისად სისხლისა და პლაზმის გადასხმით, ამ ფერმენტის აქტივობის ცვლილებები არსებითად არ განსხვავდება პირველ ჯგუფში მიღებული ცვლილებებისაგან.

რაც შეეხება ტუტე ფოსფატაზას აქტივობას, საჭიროა აღინიშნოს, რომ პირველი ჯგუფის ცხოველების სისხლის შრატში იგი მნიშვნელოვნადაა მომატებული რეზექციიდან მე-2 დღეს. ეს მატება კიდევ უფრო თვალსაჩინოა ოპერაციიდან მე-3 დღეს ($p < 0,01$). გამოკვლევის მომდევნო ვადებში ტუტე ფოსფატაზას აქტივობა აშკარად იჩენს ტენდენციას შემცირებისაკენ და ოპერაციიდან მე-14 დღეს მისი დონე ნორმის ფარგლებშია ($p > 0,5$).

მეორე და მესამე ჯგუფის ცხოველების სისხლის შრატში ტუტე ფოსფატაზას აქტივობა ოპერაციამდელ დონესთან შედარებით რეზექციიდან მე-2 დღეს სამჯერ და უფრო მეტადაა მომატებული. აღნიშნული დონე უმნიშვნელო მერყეობით შენარჩუნებულია ოპერაციიდან მე-3 დღესაც, გამოკვლევის მომდევნო ვადებში ტუტე ფოსფატაზას აქტივობა თანდათანობით მცირდება, მაგრამ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ მესამე ჯგუფის ცხოველების სისხლის შრატში, მეორესთან შედარებით, ეს შემცირება ხდება უფრო სწრაფად. ასე მაგალითად, მესამე ჯგუფის ცხოველებში ტუტე ფოსფატაზას აქტივობა საწყისი დონის ტოლია რეზექციიდან მე-8 დღეს; მეორე ჯგუფის ცხოველებში კი ამავე ვადისათვის აღნიშნული ფერმენტის აქტივობა ორჯერ აღემატება ოპერაციამდელ დონეს.

ამრიგად, მიღებული მონაცემებიდან სრულიად ნათელია, რომ ძალღებში ღვიძლის რეზექციის შემდეგ ადგილი აქვს სისხლის შრატის ფერმენტების — ქინინოქსიდაზას, სორბიტდეჰიდროგენაზას, ლაქტატდეჰიდროგენაზასა და ტუტე ფოსფატაზას აქტივობის აშკარად გამოხატულ მატებას, რომლის ინტენსივობა და ხანგრძლივობა დამოკიდებულია იმაზე, გაკეთებულია მხოლოდ ღვიძლის რეზექცია, თუ რეზექციის შემდეგ ნაწარმოებია მთლიანი სისხლის ან პლაზმის გადასხმა. პირველი, მეორე და მესამე ჯგუფის ცხოველთა გამოკვლევების მონაცემთა შედარება კი გვიჩვენებს, რომ რეზექციურულ ღვიძლის პირობებში მთლიანი სისხლისა და პლაზმის გადასხმას თან სდევს ღვიძლის ფუნქციური მდგომარეობის გაუმჯობესება, რაც უფრო აშკარად გამოხატულია პლაზმის გადასხმისას. ღვიძლის დარღვეული ფუნქციური მდგომარეობის აღდგენა, ჩვენის აზრით, გაპირობებული უნდა იყოს სისხლისა და პლაზმის გადასხმის დადებითი გავლენით ღვიძლის ქსოვილის რეგენერაციულ პროცესებზე.

საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს
ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ინსტიტუტი
(შემოვიდა 19.10.1972)

ЭКСПЕРИМЕНТАЛЬНАЯ МЕДИЦИНА

Т. М. ГОДЕРДЗИШВИЛИ, Э. Д. БАГРАТИОНИ, М. Г. ТЕДИАШВИЛИ,
Э. М. ЦИЦУАШВИЛИ

ИЗМЕНЕНИЯ АКТИВНОСТИ НЕКОТОРЫХ ФЕРМЕНТОВ СЫВОРОТКИ КРОВИ ПОСЛЕ РЕЗЕКЦИИ ПЕЧЕНИ И ТРАНСФУЗИОННОЙ ТЕРАПИИ

Резюме

Опыты проведены на 28 собаках, из которых у 23 произведена резекция 40—45% ткани печени. В отдельной группе (пять собак) произ-

водилась лапаротомия. Изучены активность щелочной фосфатазы, сорбитдегидрогеназы, хининоксидазы и лактатдегидрогеназы сыворотки крови после резекции печени и трансфузионной терапии. Во всех опытных группах отмечалось повышение активности этих ферментов со второго дня после резекции печени. Наилучшие результаты по восстановлению функции печени после ее резекции были получены от переливания плазмы.

EXPERIMENTAL MEDICINE

T. M. GODERDZISHVILI, E. D. BAGRATIONI, M. G. TEDIASHVILI,
 E. M. TSITSUASHVILI

CHANGES OF ACTIVITY OF SOME BLOOD SERUM ENZYMES
 FOLLOWING LIVER RESECT.ON AND TRANSFUS.ON
 THERAPY

Summary

The experiments were carried out on 28 dogs. Resection of 40—45 per cent of the liver tissue was performed in 23 cases. Laparotomy was performed in a separate group (5 dogs). The activity of alkaline phosphatase, sorbitoldehydrogenase, quinineoxidase and lactatedehydrogenase was studied after liver resection and transfusion therapy. The activity of these enzymes was observable from the second day of liver resection in all the experimental groups. Plasma transfusion, following liver resection, produced the best results in the restoration of the liver function.



УДК 894.631

ფილოლოგია

ბ. კილანავა

„აბოს წამების“ აბრიჯაციისათვის

(წარმოადგინა აკადემიკოსმა ალ. ბარამიძემ 19.6.1972)

VIII ს. ეროვნულ აგიოგრაფიაში „აბოს წამების“ ავტორის სახელს დაუკავშირდა თვალსაჩინო მწერლური სიახლენი, რომელთაც საზოგადოდ ძველი ქართული ლიტერატურული და საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების თვალსაზრისითაც პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. ვგულისხმობთ თხზულების სტრუქტურას, ჟანრობრივ სიახლეს (თ. IV) და ეროვნული იდეის მკვეთრ გამოვლენას ბერძნებთან დაპირისპირებაშიც.

მომდევნო საუკუნეების ქართული აგიოგრაფია ამ ხაზითაც განვითარდა. ეს დამსახურება, რომელიც მწერლის პიროვნებას ზოგადად ახასიათებს, აღძრავს ინტერესს გაიჩვენებს მისი ვინაობა.

კვლევის დღევანდელ ეტაპზე შეიძლება გადაჭრით ვთქვათ შემდეგი: ავტორი ვინმე იოვანია, მოღვაწე VIII ს. II ნახევრისა. მამამის საბანი უნდა რქმეოდა. მამასადამე, თხზულების ავტორია იოვანე ძე საბანისი [1].

გასარკვევია საზოგადოების რომელ ფენას ეკუთვნოდა იგი — სასულიეროს თუ საეროს. ამ კონკრეტული საკითხის გადაჭრას საზოგადოდ ეროვნული მწერლობის გენეზისის გააზრებისათვისაც აქვს მნიშვნელობა: იგი ან უარყოფს ან დაადასტურებს აზრს, რომ სასულიერო მწერლობა საეკლესიო მამათა და ერისკაცთა სულიერი მოთხოვნილების ერთიანობას გამოსატყვევებს და უშუალოდ ორივე წრის შემოქმედების ნაყოფია.

დასმული საკითხის კვლევისას ფასეულია დამკვეთსა და ავტორს შორის მიმოწერისა და თხზულების იდეოლოგიურ-მსოფლმხედველობრივი მხარის გათვალისწინება. ამათგან პირველის საფუძველზე ავტორი ერისკაცად იქნა მიჩნეული [2], ხოლო მეორის საფუძველზე — სასულიერო პირად [3,4].

სამოელი და იოვანე ერთმანეთს კრძალვით მიმართავენ. ისინი ურთიერთს „უფალს“ უწოდებენ იმ განსხვავებით, რომ იოვანე თავის ადრესატს „მამფლადაც“ მოიხსენიებს. ეს სიტყვა („უფალი“) აქ სოციალური გაგებით არ უნდა იყოს ნახმარი, წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყნის უზენაესი საეკლესიო პირისათვის „უფალი“ ვერ იქნებოდა ვერც ერთი პირი, გარდა ერისთავისა ან კურაპალატისა. ამ რანგში კი იოვანეს ვერ წარმოვიდგენთ თუნდაც იმის გამო, რომ მან თხზულება დაწერა „ბრძანებითა სამოელ კათალიკოზისადათა“, რომელსაც ავტორი თავის „უფალს“ უწოდებს („უფალსა ჩემსა“). სამოელისა და იოვანეს საკომუნიკაციო ტონი განპირობებული ჩანს საზოგადოდ ქრისტიანული ეთიკით და იგი ვერ გავვირკვევს საბანის ძის სოციალურ მდგომარეობას.

სამოელი თავის ადრესატს „სულიერად ეკლესიის შვილს“ უწოდებს. სასულიერო სფეროში მიღებული ეტიკეტით ეს აბრიჯატი უწინარესად სასულიერო პირს მიემართება (ქართულ აგიოგრაფიაში საერო პირის მიმართ იგი თითქმის არც იხმარება). საილუსტრაციოდ რამდენიმე მგვალითს მოვიტანთ, რომლებიც ქრონოლოგიურად დაახლოებით საბანის ძის ეპოქის ვითარებას ასახავს:

ა) „ესე ნეტარი ზენონ მიიწია მოხუცებულებასა და ვიდრე აღსასრულადმდე არა განეშორა ხანცთასა ქეშმარიტად სულიერი შვილი“ [5].

ბ) „რაცამს ხანცთა იქმნა სახელოვან მადლითა და სახარულევან სულიერთა შვილთაგან“... ([5], 263).

ამ ფონზე ბუნებრივია ხანცთელ მამათა განცხადება: „ხანცთა სულიერთად მშობელი არს ჩუენ ყოველთა“. აღსანიშნავია ისიც, რომ მოძღვრისათვის მოწაფე უმეტესად „სულიერად შვილის“ ეპითეტითაა დახასიათებული.

სამოელი იოვანეს ასე მოიკითხავს: „მშკდობაჲ იყავნ შენ ზედა და ყოველთა სახლისა შენისა კრებულთა ქრისტეს მიერ“. ამთავითვე შევნიშნავთ, რომ ნაწყვეტის მიხედვით იოვანე ფლობდა მრავალსახლს („ყოველთა სახლისა“) და მრავალკრებულს („კრებულთა“).

„სახლი“ ძველად ორი მნიშვნელობით იხმარებოდა: ჩვეულებრივი მნიშვნელობით — საცხოვრებელი ადგილი და ეკლესია-მონასტრის აღსანიშნავად (ბიბლიით შეიძლება იგი რქმეოდა წმიდა ადგილებსა და ადამიანებსაც. ეს უკანასკნელი ექსტაზისას იქცეოდა სახლად ღვთისა). მისი მეორე მნიშვნელობა ქართულ აგიოგრაფიაშია დადასტურებული. ისევ საბანის ძის ეპოქის ვითარების ამსახველ მასალას მივმართავთ:

ა) „რამეთუ შენ თვთ სიბრძნემან იშენე თავისა თვისისა სახლი... შესავედრებლად... მორწმუნეთა“ ([5], 200).

ბ) „რამეთუ მონასტერსა ტბას ახლოს მყაფარსა მას გუერდსა საშინელი ლოდი იძვროდა და შიშისაგან მონაზონნი ივლტოდეს თვისთა სახლთაგან“ [5], 304). ბიბლიურ წიგნთა უძველეს ქართულ თარგმანებში სიტყვა „კრებული“ ექვსი სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარებოდა [6]. არ შეგვხვედრია შემთხვევა, რომ იგი ერისკაცის კერძო ოჯახის წევრებს აღნიშნავდეს.

ორიგინალურ მწერლობაში კი „კრებული“ უწინარესად სასულიერო პირთა გჯუფის სახელდებად შემოვიდა და ეს დადასტურებულია ბოლნისის სიონის წარწერით (VI ს.): „ქედთ ეპისკოპოსი კრებულითურთ და ამას ეკლესიასა შინა შენდა მიმართ თავყანის მცემელნი შეიწყალებ“. ეპისკოპოსის კრებული მისი თანამოღვაწენი, სასულიერო პირები არიან, ხოლო „ეკლესიასა შინა ... თავყანის მცემელნი“ — მრევლია. უწინარესად ეს მნიშვნელობა გადმოჰყვა მას ეროვნულ აგიოგრაფიაში და ამ მხრივ მასალათა ისეთი სიმრავლე შეინიშნება, რომ მათი მითითება საჭიროდ არც ვცანით.

სამოელის მოკითხვაში „სახლისა“ და „კრებულის“ აქ დადასტურებულ მნიშვნელობებს თუ ჩავსვამთ, ასეთ სურათს მივიღებთ: „მშკდობაჲ იყავნ ყოველთა ეკლესიისა შენისა კრებულთა (ზედა) ქრისტეს მიერ“.

უნდა ვიფიქროთ, რომ იოვანე სასულიერო პირია, თანაც მაღალი თანამდებობის მქონე — ეპისკოპოსი, რომლის სამწყსოში მრავალი ეკლესია („ყოველთა სახლისა“) და მათში მოღვაწე სასულიერო პირები („კრებულთა“) შედის. ამაზე უნდა მიუთითებდეს ზემოხსენებული ატრიბუტიც და აგრეთვე იოვანესული დახასიათება თავის თავისა („უღირსი“). სიმბტომატურია ის ფაქტი, რომ უძველესი ქართული წყაროების მიხედვით (სიონის წარწერა, „მუშანიკის წამება“) კრებული მხოლოდ მაღალი თანამდებობის სასულიერო პირს ჰყავს და შესაძლოა ამ მხრივ სამოელ კათალიკოსიც ტრადიციას აგრძელებდეს. ნაწყვეტში „სახლისა“ და „კრებულის“ მრავლობითში ხმარებაც ამ მიზეზით ჩანს განპირობებული.

ნიშნულია საკუთრივ ტექსტის ჩვენება: „აბო მ მოვიდის წმიდად ეკლესიად და მარადის ისმენნ ... საკითხავთა მათ“. შესაძლოა, რომ იოვანესა და აბოს მეგობრობა სწორედ იმ ეკლესიაში ჩასახულიყო, სადაც მოღვაწეობდა პირველი (იოვანე საბანის ძე) და სადაც მოდიოდა მეორე (აბო ტფილელი). ასეთ შემთხვევაში საბანის ძე თბილისის ეპისკოპოსად ანუ თბილელად წარმოიდგინება, რადგანაც ხსენებული ეკლესია აქ მდებარეობდა.

და ბოლოს, ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია იდეოლოგიურ-მსოფლმხედველობრივი მხარე თხზულებისა. ავტორი მკვეთრად გამოვლენილ ეროვნულ იდეას გვაწვდის ისეთი ფორმით, როგორც ეს საეკლესიო პირებს სჩვეოდათ.

განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ იგი ამ მხრივ ჩვენთვის ცნობილ სასულიერო ძეგრებსაც კი უსწრებს. დასკული საკითხის სხვა ფორმით გადაწყვეტაზე საბახის ძე სდუმს იმ შემთხვევაშიც კი, როცა ერისკაცის პოზიციის გამყარება თითქოს უცილო უნდა ყოფილიყო. ვგულისხმობთ ნერსე ერისთავის ხაზარეთში გამგზავრების ფაქტს.

ნერსესათვის ცხადი იყო, რომ ხაზართა სახით „ჩრდილოეთის ქვეყანაში“ მძლავრი ანტიარაბული ძალა არსებობდა, რომლის საზრიანი გამოყენებაც ქართლს უთუოდ წაადგებოდა (ცნობილია, რომ არაბებთან ბრძოლაში ქართველებს „მათითაც ჰქონდათ ხშირად ზურგი გამაგრებული“ [7]). თუ არა ეს წინადადებული გადაწყვეტილება, მას ადვილად შეეძლო ხაზარეთის გაუგებრად პირდაპირ აფხაზეთში მოხვედრილიყო, სადაც „პირველადვე წარგზავნენს დედა და ცოლი, ... რამეთუ კრძალულ იყო ქუეყანა იგი შიშისაგან სარკინოზთადასა“.

საბანის ძე ნერსეს ამ პოლიტიკურ მისიაზე სავსებით სდუმს, სამაგიეროდ ესწრაფვის ხაზართა რელიგიური უგვანობის წარმოჩენას: „არიან ხაზარნი კაცველურ, საშინელ პირითა, მკეცის ბუნება, სისხლისა მკამელ, რომელთა შჯული არა აქუთ“.

თხზულების ავტორი, რომელსაც ასე მკვეთრად ავლენს ეროვნულ იდეას, თუ ის მართლა ერისკაცი იყო, უწინარესად სწორედ ამ იდეით გახპირობებულ ნერსეს პოლიტიკურ მისიას დაახასიათებდა. სინამდვილეში კი მისთვის უმთავრესია საკითხის რელიგიური მხარე და ძსგავს სიტუაციაში აქ მოტანილი სიტყვის ავტორიც წარმოგვიდგება როგორც პიროვნება, რომელსაც რელიგიური ოქმენა გარედახ შეთვისებული კი არა აქვს, როგორც ერისკაცს, არამედ იგი წარმოადგენს მისი მსოფლმხედველობის არსს, მის შინაგან ბუნებას საერთოდ.

ამდენად, უნდა ვიფიქროთ, რომ სავსებით საეკლესიო სტილის მწერალი იოვანე საბანის ძე სასულიერო პირია, შესაძლოა — თბილელი. ყოველ შემთხვევაში ის მაინც ცხადია, რომ არსებულ მასალათა ფარგლებში ვერასვზით ვერ დამტკიცდება მისი ერისკაცობა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

(შემოვიდა 22.6.1972)

ФИЛОЛОГИЯ

Б. И. КИЛАНОВА

К АТРИБУЦИИ «МУЧЕНИЧЕСТВА АБО»

Резюме

Принимая во внимание филологические анализы отдельных мест «Мученичества Або», крайне религиозный характер его мировоззрения и сугубо церковный стиль памятника, высказывается мнение, что автор произведения Иоване принадлежит духовному сословию. Возможно, что он епископ Тбилисский, или Тбилели.

PHILOLOGY

B. I. KILANAVA

TOWARDS THE ATTRIBUTION OF THE „MARTYRDOM OF ABO“

Summary

Considering the philological analyses of separate passages of the „Martyrdom of Abo“, the extremely religious character of its world outlook and exclusively ecclesiastical style of the work, it is suggested that its author Iovane was an ecclesiastic—probably the Bishop of Tbilisi, alias Tbileli.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. ი. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბილისი, 1921, 39.
2. კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, 14, წელი 130.
3. K. Schutze. Das Martyrium des heiligen Abo von Tiflis (Texte und Untersuchungen N. Folge, XIII, 4, Leipzig, 38, 3).
4. P. Peeters. Les Khazars dans la passion de s. Abo de Tiflis (Analecta Bollandiana, III, f. 1—2, 1934, 23).
5. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, 1, თბილისი, 1963, 263.
6. ი. იმნაიშვილი. ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი. თბილისი, 1949, 274.
7. ი. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, თბილისი, 23, 1968.



Г. В. ИОБАШВИЛИ

ГОРОДСКОЙ ДОХОД ЗАПАДНОЙ ГРУЗИИ В ДОРЕФОРМЕННЫЙ ПЕРИОД XIX в.

(Представлено академиком Г. С. Читая 23.6.1972)

Исследование общего вопроса о путях становления капиталистических отношений в дореформенной Грузии предполагает изучение процесса роста городов.

В первое двадцатилетие XIX в. благодаря сложной внутренней и внешней ситуации развитие городов Грузии с экономической точки зрения протекало медленными темпами. Города к этому периоду все еще не могли способствовать укреплению экономических взаимосвязей между отдельными районами страны. К тому же, следует учесть и то обстоятельство, что находившаяся в хаотическом состоянии торгово-экономическая политика царизма препятствовала дальнейшему развитию городской жизни Грузии, оформлению и консолидации звания свободных купцов и ремесленников.

Несмотря на то что часть городского населения была занята собственным сельскохозяйственным производством, ведущими отраслями городской экономики к этому периоду все еще оставались ремесло и торговля. Таким образом, городской доход, экономический рост городов в большой мере зависел от денежных средств, поступающих из торгово-ремесленных учреждений. Однако малочисленность торгово-ремесленных предприятий в городах Западной Грузии, наличие крепостных купцов и ремесленников все еще не давали желаемого результата роста их экономического потенциала. К 10—20-м годам XIX в. городской доход в Западной Грузии имел низкие показатели. Например, доход Кутаиси в 1816 г. составлял 642 руб. 50 коп., а все население города достигало почти 1000 душ III. Доход Редут-Кале в 1828 г. составлял 880 руб. 70 коп., а Озургети — 395 руб.

С первой трети XIX в. в Грузии на основе глубоких социально-экономических изменений начинается существенный перелом в смысле дальнейшего роста и развития городов. Дальнейшее общественное разделение труда и углубление товарно-денежных отношений еще более обостряли противоречия между городом и деревней, усиливали экономическое воздействие города на деревню. Рост городского населения за счет иногородцев как с социальной, так и с экономической точки зрения расширял товарооборот и создавал единый внутренний рынок в стране. Несмотря на то что города, по сравнению с крепостным селом, в социально-экономической политике России играли второстепенную роль, их удельный вес в силу объективно-исторической закономерности все более увеличивался. В соответствии со временем и обстановкой царизм был вынужден больше внимания уделить хозяйственному положению городов как в России, так и на окраинах. После административной реформы Закавказья (1840 г.) в городах Восточной и Западной Грузии были созданы специальные комитеты по подсчету городских

бюджетов. В отчетах управления Кавказским краем, начиная с 1843 г. содержалась особая глава «Городское хозяйство», в которой давались справки о расходах, доходах, строительстве, коммунальном хозяйстве и т. д.

В 40—50-х гг. городской доход в Западной Грузии, по сравнению с прежними годами, значительно возрос: доход Кутаиси к 1847 г. составлял 3410 руб., расход — 4093 руб. 40 коп.; доход Озургети—948 руб., расход — 1123 руб.; доход Сухуми в 1852 г. — 4354 руб. 58 коп.; расход — 1427 руб. [2]. Городской доход Редут-Кале в 1841—1842 гг. возрос почти в 6 раз и по общей сумме пошлинного дохода (1151640 руб.), этот город после Тбилиси занимал одно из первых мест в Закавказье [3].

Как показывают приведенные материалы, в некоторых городах, в частности в Кутаиси и Озургети, доход не покрывал расход, т. е. городские бюджеты были дефицитны в этот период. Причин для такого положения было множество, однако в первую очередь это было обусловлено неправильным и непропорциональным распределением городского дохода. Одновременно относительно низкий процент городского дохода был вызван тем, что местные власти источником роста бюджетов городов считали только облагаемые объекты и налоги с населения. Они выпускали из виду и не использовали все те возможности, которые способствовали бы быстрому росту городских доходов. Значительная часть городского дохода уходила на содержание полиции, тюрем и войск.

С 50-х гг. XIX в. в городах Западной Грузии параллельно с ростом населения и торгово-промышленных предприятий расширялись количественные масштабы доходов и расходов городов. Так, доход Кутаиси в 1856 г. составлял 10 623 руб. Как видим, за 10 лет доход города возрос почти в 3 раза [4]. К концу дореформенного периода, в частности в 1864 г., доход Кутаиси достиг 20 296 руб. [5]. Росли бюджеты и других городов: доход Сухуми в 1862 г. — 7197 руб. 71 коп., расход—3641 руб. 34 коп.; доход Озургети в этот период — 3330 руб. [6]. Однако доход Редут-Кале чувствительно снижался, по сравнению с прежними годами, что было вызвано выдвиганием Поти как нового портового города и дальнейшим ростом его торгового значения.

До 50-х гг. Кутаиси по своему доходу занимал третье место после Тбилиси и Ахалцихе. Впоследствии же на протяжении всего XIX в. он находился на втором месте по темпам роста как дохода, так и населения.

Как уже отмечалось, отсутствие самоуправления в городах Грузии препятствовало созданию прочных городских бюджетов и их упорядочению. Правительство мало внимания уделяло использованию всех источников и резервов для увеличения городского дохода. В то же время значительная часть купечества торговала, не имея билетов на право торговли, а те, которые брали их, представляли казначействам и органам городских управлений весьма уменьшенные данные о своих оборотах. Более того, во многих городах и местечках Западной Грузии купцы не представляли местным органам никаких сведений о своих капиталах. Именно на это указывали в 1863 г. местным властям кутаисские горожане, требуя, чтобы для увеличения дохода города определенную сумму вносили в казну купцы Они, Хони, Чхари и Кулаши. Это мероприятие, по их мнению, должно было способствовать экономическому укреплению Кутаиси [7].

Обычно причину мизерности бюджетов городов Грузии царские власти усматривали в их хозяйственной неразвитости, в отсталости

промышленности и торговли. Это мнение не совсем справедливо. Следует иметь в виду также и крайне нерациональную и несправедливую систему обложения, практиковавшуюся в городах, отчего наиболее значительные и надежные источники дохода оставались неиспользованными, а тяжесть обложения в основном ложилась на наиболее незащищенные и менее обеспеченные социальные слои городского населения.

Тбилисский государственный университет

(Поступило 29.6.1972)

ისტორია

გ. იობაშვილი

დასავლეთ საქართველოს საკალაქო შემოსავალი XIX ს. რეფორმამდე პერიოდში

რეზიუმე

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიურ განვითარებასთან კავშირში შესწავლილია საქალაქო შემოსავლის დინამიკა დასავლეთ საქართველოში XIX საუკუნის რეფორმამდე პერიოდში. ნაჩვენებია ის ძირითადი მიზეზები, რომლებიც ხელს უშლიდა ქალაქის შემოსავლის რაოდენობრივ ზრდას.

HISTORY

G. V. IOBASHVILI

WESTERN GEORGIAN URBAN REVENUES IN THE PREREFORM PERIOD OF THE 19TH CENTURY

Summary

Urban revenue dynamics in 19th century western Georgian towns before the reform is discussed in conjunction with the socio-economic development of the country. The main obstacles that hampered the quantitative growth of urban revenues are indicated.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. Акты, собранные Кавказской археографической комиссией, т. IV, ч. I, 531.
2. Центральный государственный исторический архив в Ленинграде, ф. 1268, оп. 2, д. 1035, л. 52.
3. შ. დუმბაძე. დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში. თბილისი, 1957, 376.
4. Статистические таблицы Российской Империи. СПб, 1858, 164.
5. Центральный государственный исторический архив в Ленинграде, ф. 1268, оп. 3, д. 470, л. 43.
6. Документы по истории Грузии, т. 1, ч. II, 1, 6. Тбилиси, 1960.
7. საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური ისტ. არქივი, ფ. 4, იღწ. 4. საქმე № 34, ფურც. 3.



ს. ზანტაშიანი

ლომის კულტურასთან დაკავშირებული შრომის სიმღერები
 სამეგრელოში

(წარმოადგინა აკადემიკოსმა გ. ჩიტაიამ 7.9.1972)

ლომის კულტურას ქართველი ხალხის, კერძოდ, მეგრელთა სამეურნეო ცხოვრებაში ოდიდანვე მნიშვნელოვანი ადგილი უნდა სჭეროდა. ამას მოწმობს ამ მარცვლეულის მოყვანა-მოწვევასთან დაკავშირებული ხალხური ცოდნა-გამოცდილება, საღომედ გამოსადეგი მიწის შერჩევა და მისი დამუშავების მაღალი დონე, ღომის ადგილობრივი ჯიშების — საადრიოს და საგვიანოს გამოყვანა. ღომის ხათესების დამუშავება და მისი მოწვევის რთული წესები, ღომის ცეხვა და მასთან დაკავშირებული ხელტურქული, ღომის ნამზადის ნაირობა, მისი გამოყენება სამკურნალოდ („ტიბუ“-სათვის), სარიტუალო დანიშნულებისათვის (ახალწლის საკვლევად), საღვებობოდ და სხვა.

საერთოდ, თავისი ტექნიკითა და ორგანიზაციით ღომის მოწვევა სამეგრელოში არქაული ფორმებით ხასიათდება. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს ღომის ზენა-თესვა „საძმოდ“ (საჯიმალოთ, მეგრ.) ასევე ღომის ხათესების დამუშავება სამკურნალოდ „კეკო-თოხებითა“ და თაველის მოკრეფა („გემუა“) ხის დანებით (ჯაში ხამით, მეგრ.) რომელსაც გურიის „ლიწკა“ ეწოდება.

ღომი განსაკუთრებით კარგ მოსავალს იძლეოდა ახოსა და საერთოდ ახალბირ მიწებში, რომელთაც 2—3 წელს მხოლოდ თოხით, ისიც ზედაპირულად ამუშავებდნენ, ხოლო შემდეგ კავით (ოგაფათი) ხნავდნენ ხოლმე. საღომედ არჩევდნენ შედარებით „მჩატე“ მიწას, ვინაიდან ღომს არ უყვარს, „ლაზე“, ბელტებიანი და მძიმე მიწა. ამასთან, ასეთ ნიადაგში იგი გასათოხნად ძნელია და ნაყოფსაც მცირეს იძლევა.

ამავე კულტურის მოყვანასთან იყო დაკავშირებული შრომის კოლექტიური ფორმა — „ოჩე ყვანაძი“ (ე. ი. დიდ ყანაში) დამუშავება საზიაროდ. ამ შემთხვევაში ღომის მოწვევა სამშო, საგვარო ხასიათს ატარებდა, რასაც — „საგვარი“ და „საჯიმალო“ (საძმო) „დოდვალა“ (დაღება) ეწოდებოდა. ყანას ერთობლივად ამუშავებდნენ და მიღებულ ნაყოფს ძმურად ინაწილებდნენ მოზიარენი. აქაც იმ წესს მიმართავდნენ ხოლმე, როგორც იცოდნენ „მამულის“ (ვენახის) მოკრეფისა და ღვინის დაყენების დროს, როდესაც სამშო-საგვარეულო მამულში მოწეული ყურძნის მაჭარი იყოფოდა გვარის წევრებს შორის.

ღომის ყანის გათოხნას თან ახლდა გამახალისებელი შრომის სიმღერები, რომელთა შესრულება გარკვეული წესების გათვალისწინებას გულისხმობდა. როგორც ცნობილია, ნაღური სიმღერები უმთავრესად შრომის სიმღერებია, სადაც სასიმღერო ტექსტი უფრო მოწოდებითი, ან ვერბოთია. კერძოდ, ღომის თოხნის დროს ან მისი გაღწევა-გაცეხვისას საყოველთაოდ ცნობილი და მიღებული სიმღერა: „ოჩე ხეა დო ხვერიელი“, „ოჩემ“ (დიდი) ხეავი და ბედნიერება, სიხვაროლე, გადიდება და მატება, და ყოველივე ეს გამოითქმის როგორც მეურნის სურვილი და ლაღადი მოსავლის გადიდება-სათვის. „ოჩე“, აქ გვევლინება როგორც „დიდი“ და მაგიური ქმედების მქონე ძალა მოსავლისა და მისი სიუხვის მომნიჭებელი. ჩანს, ღომის მოწვევის საქმეში მეგრელი ხალხი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და წყალობას უნდო-

ხოვდა იმ იდეალს ძალას, რომელიც განაგებდა მოსავლის ნაყოფიერებას. ამ მიმართულებით ღომის თონისა და საერთოდ მისი „ჩხვარვის“ დროს (ცეხვისას) შესრულებული სიმღერების ტექსტი, „ოჩიშ ხვეე და ხვარიელი“ თავისი ფორმითა და შინაარსით, არსებითად, ლოცვა-ვედრებას, სარიტუალო ჰიმუს წარმოადგენს, რომელიც სრულდებოდა ღომისა და საერთოდ პურიეული კულტურების ხვნა-თესვის მოსავლის აღებისა და ნაყოფის „წესადის“ (პირველი მიღების) წინ. განსაკუთრებით ეს უკანასკნელი მომენტი — „წესაფა“ — წარმოადგენს მაგიური ხასიათის წეს-ჩვეულებას, სადაც მკაფიოდ მოჩანს ჩვენი ხალხის წარსული მსოფლმხედველობის საინტერესო მხარე — „ზიარება“, როდესაც ახალი მოსავლის მიღებას თან ახლავს საგანგებო ლოცვის შესრულება და მხოლოდ ამის შემდეგ ჩაითვლება ნებადართულად მისი ჰამა. ამ შემთხვევაში, როგორც კერძოდ, ისე „სამოდ“ დადებული ღომის ყანის ახალი მოსავლის აღების შემდეგ იმართებოდა დასალოცი პურობა — „ოწესური“, რასაც ზოგადად „ნათობა“ (ხეჭვი), „თავივული“ ეწოდება ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში. სამეგრელოს ეთნოგრაფიულ ყოფაში „ოწესურის“ ჩატარება, რატომღაც დამე, ვახშმად სრულდებოდა: საკლავად იცოდნენ გოჭი ან ქათამი. ლოცვას ჩვეულებრივ უფროსი კაცი და ქალი ასრულებდა. სალოცავად განკუთვნილ „შელებურს“ (განატეხს) საწირავს გულღვიძლს, სანთელ-საკმეველს „ზედაშეს“ და რაც მთავარია, ღომის „მუნჭას“ (პირველ ხელუელს, კონას) სალოცავ პურთან მიიტანდნენ და მოწიწებით ევედრებოდნენ ღომის გამჩენსა და მაცოცხლებელ ანგელოზს. და მხოლოდ ამის შემდეგ იყო მიღებული ახალი მოსავლის ხმარება საქმელად.

ღომისა და სიმინდის დამუშავებასთან დაკავშირებული შრომის სიმღერები ყურადღების ღირსია არა მარტო მხატვრული ღირსებით, არამედ თავისი წარმომავლობით და იდეური მნიშვნელობით. ამასთან ერთად იგი მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს მუშაობის ტემპს და ზრდიდა შრომის ნაყოფიერებას. ერთი მხრივ კოლექტიური მუშაობა სახალისო იყო და მტკიცე ჩვეულებას წარმოადგენდა. ჩანს ჩვენს ხალხს კარგად ჰქონდა შეგნებული კოლექტიური შრომის ძალა და ამ წესს იცავდა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს მეურნე. უნდა ითქვას, რომ კოლექტიური შრომის „ნადური“ ფორმა ხანგრძლივი გამოცდილებისა და ღრმა დაკვირვების ნიადაგზეა შემუშავებული. იგივე ითქმის ნადის დროს შესასრულებელ შრომის სიმღერებზე, რომელთაც მეგრულად „ოყონური“ ეწოდება საერთო სახელად. ნადური სიმღერის, ანუ ოყონურის მთავარი მოტივია „ოდოია“, რომელიც სრულდება ორი გუნდისაგან ერთმანეთის შენაცვლებით; სიმღერა იწყება ნელ ტემპში, რომელიც თანდათანობით ჩქარდება. იგი მოსავლიანობის მფარველი ძალისადმი მიმართული ჰიმნია.

სალომედ გათვალისწინებულ მიწას საგანგებოდ ამუშავებდნენ, აფხვიერებდნენ, ფესვებისა და ქვა-ღორღისაგან წმენდნენ, ხნავდნენ წმინდად, ბელტებს ფშენდნენ, სარეველა ბალახის ძირებს და ლახრს კაბლო ფარცხით უყრიდნენ თავს და გამოჰქონდათ ნაპირში. მიწის დახვნა უფრო „ოცხენად“, არა ღრმად იყო საჭირო. ამიტომ ახალი პირი მიწა და საერთოდ ახო ადგილი, საუკეთესო ნიადაგს წარმოადგენდა ღომის საყანედ. ასეთ ნიადაგში იგი ერთობ კარგ ნაყოფს იძლეოდა და „თანაც გემოთი და შემრგვობით აღემატებოდა ნაყანებში მოყვანილს“ (მთხრობელი წულაია ერმილე უტუხს ძე, სოფ. ვაჭედელი). ამიტომ სალომედ მიჩენილ მიწას ხშირად ყამირად ტოვებდნენ, რათა ძალა და სინოყიერე მოეკრიფა და შემდეგ მასში დათესილ ღომს კარგი ნაყოფი მოეცა. ამავე მიმართებით აწარმოებდნენ აგრეთვე თესლმონაცვლებას. ერთ წელიწადს პურს დათესავდნენ, მეორე წელს — სიმინდს, მესამეს კი ღომს. მიწის გასანოყიერებლად იცოდნენ ნაკელის შეტანაც. ხშირად სალომე მიწას თოხით „ხნავდნენ“ და არა ჩვეულებრივი სახვნელოთ, რათა ამ გზით უფრო იოლი გაეხადათ „თესლის მიბარება“ ნიადაგში. განსაკუთრებით ასეთი დამუშავება ლაკად მიწებს ესაჭიროებოდა, ვინაიდან ხარსახენილი ისე ადვილად არ უდგებოდა აქაურ მიდამოებს. რაც შეეხება სახვნელოთ „ოგაფათი“ — მოხნულ სალომე მიწას, მას დაფარცხვა ჰქირდებოდა. თუ მიწა „ლაზე“

და მიძიე იყო, ბელტების დაფშვნა იყო საჭირო. ამისათვის ხნულში ჯერ გაატარებდნენ მალაკებილებიან ფარცხს, ე. წ. „კაბდოს“, რომელიც ამოყრიდა ბელტებს და თან დაფშენიდა. ამასთან იგი ფორჩხვიით ზვეტდა მიწიდან გამბმულ სარეველა ბალახეულის ძირებს და საშუალებას აძლევდა „წმინდა ფარცხს“, ნარჩენი „ლახრი“ და მცირე ბელტებიც დაეფშვნა დათესილ ნახვებში და თანაც შეემციკებინა კაბდოსა და სახენელას მიერ გატანილი კვლების „ნახურგალი“ (ოღროჩოღრო).

როდესაც ლომის ნათესი რამდენადმე წამოიზრდებოდა, მაშინვე საჭიროებდა გათოხნას, რომ ბალახი არ მორეოდა. პირველ გათოხნას „ბარგუა“ — „ლოკერშვა“ ეწოდებოდა. ეს სამუშაო შედარებით ფრთხილ მიდგომას მოითხოვდა. ამიტომ „ოჩე“ ლომის ყანა ძნელი იყო დასამუშავებლად ერთი ან ორი პირისათვის, ვინაიდან ისინი დროულად ვერ მოერეოდნენ სამუშაოს და ნათესებს ამასობაში ბალახი წაიღებდა. ამიტომ იყო საჭირო და აუცილებელი ვიდრე „ნადარი“ იყო, ნათესი სათანადოდ დაემუშავებინათ. ამის შესრულება მხოლოდ ნადის საშუალებით შეიძლებოდა და ასეც იქცეოდნენ. იწვევდნენ მშველელებს ნაცნობ-ხათესაეების სახით, (15-დან 30 კაცამდე).

როგორც ითქვა, ლომის პირველი გათოხნა, ან მისი „გამარგვა“, შედარებით ძნელი იყო მეორე გათოხნაზე. ამ შენთხვევაში მუშაობის აჩქარება არ ივარგებდა. ამიტომ მეორე თოხნის დროს უფრო საჭირო იყო ტემპი, რათა მეურნეს მეტი შესაძლებლობა ჰქონოდა ხელმარჯვედ და ვაჟკაცურად მოესვა თოხი და გაეტანა სრი „ელი“ („სუა“ — მეგრ.). ალბათ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ „ნადის“ მოწვევა, უფრო მეტად მეორე თოხნის დროს იცოდნენ თოხმე, რომელსაც მეგრულად ძაყირუა ლოცქვარი ეწოდებოდა.

ლომის თოხნა ორნაირი სახით წარმოებდა. წრე-ბრუნვით და წყვეტილ-წყვეტილი „სვეს“ გატანით. პირველი სახის თოხნა ემარჯვებოდა ვაკე, ქალა „რხენი“ ადგილებს, მეორე კი ფერდა და ვიწრო ნაჭრებად მდებარე მიწის ზედაპირს. ნადს ჰყავდა მეთაური, რომელიც იმავე დროს ითვლებოდა „სვეს“ წამღებდ და კვალის სწორად გამტარებლად.

ლომის თევსა შედარებით გვაახ იცოდნენ, ენისის თევში, ხოლო მისი მოწვევა ოქტომბრის თვეში („გე მათუთას“ ეძახიან მეგრულად) იცოდნენ. სავარაუდებელია, რომ ოქტომბრის თვის მეგრული სახელწოდება სწორედ აქედან უხდა გამომდინარეობდეს. მეგრულად ოქტომბრის თვეს „გემათუთა“ ეწოდება. ლომის თავვეულს (დუდელს) ხის დანებით კრეფდნენ, რასაც მეგრულად „გემუა“ — მოჭრა ეწოდებოდა. მოკრეფილი ლომი კალათებით მიჰქონდათ და ამისათვის ვანკუთხილ ხის ჯარგვალში ათავსებდნენ. იგი თოხ ბოძზე იყო შემდგარი და მარგვალს ხის ჭერებით იყო გამაგრებული, რომელშიც ჰაერი თავისუფლად მოძრაობდა და მასში ლომისა და სიმინდის ნაყოფი კარგად შრებოდა. ამ შემთხვევაში ჯარგვალი სათავსოც იყო და „საფიცობელიც“.

მოსავლის აღებას მეგრული გლეხები იზემებდნენ ლოცვით. თითოეული მოსავლისათვის, ცალკე დადგენილი ვადების მიხედვით, ტარდებოდა ლოცვა — „საოწესურო“. ამის შემდეგ, როდესაც საჭიროდ მიიჩნევდნენ და მოახერხებდნენ, ჯარგვალში შენახულ ლომს გასაცეხვად მოამზადებდნენ. ამისათვის გამოჰქონდათ იგი ნალიიდან და სპეციალურად მოღობილი ლასტით — „ოლეთი“ აშრობდნენ შუაეცეხლის თავზე. როდესაც ლომი დიდი რაოდენობით სურდათ გაეცეხვათ, ლომის გაფიცებას ნალიაშივე აწარმოებდნენ. ამისათვის ნალიის ჭერქვეშ დაანთებდნენ ცეცხლს და თანაზომიერად ათიციებდნენ შიგნით მოთავსებულ ლომის თავებს. როდესაც შეატყობდნენ, რომ საკმაოდ იყო გაფიცებული, ცეცხლს შეწყვიტავენ. შესდეგ სოხაყოთათვიებდნენ ადგილს და ზედ გაშლიდნენ მიწაზე, ნალიის ქვეშ საფენებს. რამდენიმე კაცი ავიდოდა ნალიაში და ფეხით ფშვენტდა — „ლეწავდა“ ლომს (ამ პროცესს მეგრულად „გვარდუა“ ეწოდებოდა). ნალეწი ლომი რიკლე ჭერებიდან ძირს ცვივოდა გამოილ საფენზე და გროვდებოდა ხევადა. როგორც ნალიაში, ისე „ოლეთი“ გაფიცებული ლომის ჯვრილად დაფშენილ „ნალეწს“ გადაიტანდნენ ახლა „ჩამურში“ (საცეცხველში) და ხის კაქუტებით (ხელკავებით)

რამდენიმე კაცი ხელწყობით ცეხავდა მას, რასაც „ჩხვარუა“ ეწოდებოდა. ამ გზით გაცეხვილ ღომს კი „ჩხვერი“ ერქვა.

საერთოდ, როგორც ზემოთაც ითქვა, ღომის კულტურა საქართველოში ოდითგანვე ჩანს. განსაკუთრებით ფართოდ იყო გავრცელებული იგი იმერეთში, გურიაში, აფხაზეთსა და სამეგრელოში. ამ ვითარებას უნდა გვიჩვენებდეს ის ფაქტი, რომ ღომის კულტურის ამსახველი წეს-ჩვეულება ღრმად და შეპერილი ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრებასა და სულიერ სამყაროში. ღომი წარმოადგენს „ბატონების“ ნიშანსვეტს (შდრ. სახელწოდება „ჩხვერი“ — წითელა), გამრავლების სიმბოლოს (კვლევისა და დამზნის საგანს), მაგიური ხასიათის საგანს. იგი ითვლება „სუჯუნას“ ნაწილიან ნაყოფად. „სუჯუნა მისითი უტიბულუმუთის აყინია“ (სუჯუნა ვისაცა სწყალობს, ღომი მას მიუვკო) ამბობდნენ მეგრელები და ღომს თვლიდნენ „ნაწილიან“ პურეულად, სარიტუალო საგნად.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

(შემოვიდა 14.9.1972)

ЭТНОГРАФИЯ

ს. გ. ჩანტურიშვილი

ТРУДОВЫЕ ПЕСНИ МИНГРЕЛИИ, СВЯЗАННЫЕ С ПОСЕВНОЙ
 КУЛЬТУРОЙ «ГОМИ»

Резюме

Исследованы народные знания и опыт, касающийся процесса выращивания «гоми». Рассмотрены вопросы обработки и выбора соответствующей почвы для посева данной культуры. Заострено внимание на коллективной форме труда и трудовых песнях. Форма коллективного труда «надури» выработана на основе длительного наблюдения и опыта. То же можно сказать относительно песен, исполняемых во время «нади». Основной мотив песен «надури» — «одона», который исполняют, чередуясь, два хора и который является гимном, обращенным к силам — хранителям урожая.

ETHNOGRAPHY

S. G. CHANTURISHVILI

WORK SONGS RELATED TO THE CULTIVATION OF
 GHOMI IN MEGRELIA

Summary

The paper deals with a study of folk knowledge and experience related to the process of the growing of *ghomi* (Italian millet, *Setaria italica*). The high level of the cultivation and selection of proper soil for sowing the crop in question has been studied. Attention is focused on the collective form of agricultural work and on work songs.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. ქ. რუხაძე. კრებული „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, 1960, 80—81.



УДК 52(09)

მეცნიერების ისტორია

ბ. გიორგობიანი

„ამირანიანის“ ლათარქიების ცდა ასტრალური მონაცემების
 საფუძველზე

(სპანური ვერსია სხვა ვერსიათა გათვალისწინებით)

(წარმოადგინა აკადემიკოსმა გ. ჩიტაიამ 27.6.1972)

არქეოლოგიური მასალებისა და მითოლოგიური თქმულებების შესწავლას ასტრალურ მონაცემებთან ურთიერთკავშირში დიდმნიშვნელოვანი როლი ენიჭება ქართველი ტომების კოსმოგონიური რწმენა-წარმოდგენების ძიებისას. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს უძველესი ქართული მითოლოგიური თქმულება „ამირანიანი“, რომელმაც ჩვენი წინაპრების კოსმოგონიური აზროვნების ერთი გარკვეული საფეხური ასახა.

აკად. შ. ნუცუბიძის მართებული შენიშვნით, ისეთი ძველი, როგორცაა „ამირანიანი“, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე რაიმე საკულტო გამოსახულება ქვაზე ან ლითონზე, რადგან იგი შინაარსობრივად გვაცნობს იმ სოფლწარმოდგენას, რაც ქართველ ხალხს ჰქონდა მისი შექმნის დროისათვის [1].

აკად. ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით, „ამირანის თქმულებაში“ ბუნების ძალთა ურთიერთობაა ასახული. „ამირანის“ უძველეს ფორმად მკვლევარს ძველი სპარსული „ამაჰრან“ მიაჩნდა, რაც თავის მხრივ, შიპრანს, ამათ რანს, მითრას უდრისო. მითრას კი ძველ სპარსეთში სინათლის ღმერთს განასახიერებდა და ბნელის ბოროტ სულებს ეომებოდა გამუდმებით [2]. „ამირანიანის“ კოსმოგონიური ბუნების გამოვლინებას განსაკუთრებული ღვაწლი დასდო ნ. მარმა. მისი შეხედულებით „ამირანიანი“ ერთ-ერთი იაფეტური თქმულებაა ღვთაება მზის შესახებ (a-mira ანუ a-mar აფხაზურში მზეს ნიშნავს), რომელიც ძველში გვირავდა ქცეული [3].

„ამირანის თქმულების“ უძველესი ანუ, ჩვენი აზრით, მეტნაკლებად თავდაპირველი ეპიზოდების შესწავლა თვალსაზრისით მიგვანიშნებს ამირანის მზიურობას და მის წლიურ გზას ზოდიაქოს თანავარსკვლავედებს შორის. რადგან ამირანი ძველ ადამიანთა წარმოდგენაში ღვთიურ ძალას განასახიერებდა, ამდენად მითს მთლიანად კოსმოგონიური საფუძველი ჰქონდა და გაღმერთებულ ციურ მნათობთა ურთიერთობას ასახავდა. სოციალური მომენტი თქმულებაში უფრო გვიან შემოდის და პერსონიფიცირებული ციური მნათობები ხალხის კეთილდღეობისათვის მებრძოლთა სახეს იღებენ.

თქმულების მიხედვით, ამირანი ზრდადაუმთავრებელი დაიბადა, ხოლო მისი დედა (დალი — მზე) — მატრიარქატის ხანის მთავარი ქალი-ღვთაება, მიწათმოქმედებისა და ნადირობის მფარველი — მის შობას თან გადაჰყვია. დედის ანდერძით ამირანი — მზე-ღმერთი ზრდას ასრულებს კუროს ფაშვში და ამდენად მისი მეორედ დაბადება კუროდან გამოსვლას უკავშირდება. ამირანის ცხოვრების შემდეგ ეპიზოდში ასახულია დევნა ოქროსქიანი ირმისა, რომელმაც გმირი კომპთან მიიყვანა, სადაც ლომ-კაცი ცამ-ცუმში იწვა. ჩვენი აზრით, რასაც ემთხვევა მწერალ-აკადემიკოს დ. მენგელიას დაკვირვება, ლომ-კაცის კრში ლომის ზოდის განასახიერებს, რაც ასტროლოგიურად მზის სახლია [4]. აქ ემზადება მზე-ამირანი საგმირო საქმეებისათვის, რომელთაგან თქმულებაში უმნიშვნელოვანესი ეპიზოდია ამირანის ბრძოლა დევთან,

რომელიც თავდება მოჭრილი დევის თავიდან ამოსული შავი ვეშაპის მიერ-ამირანის ჩაყლაპვით. ამირანი-მზე თავს აღწევს ვეშაპის მუცელს და ხალხის-საკეთილდღეოდ სხვა საგმირო საქმეებს ჩადის.

თქმულებაში წარმოდგენილი ეს ძირითადი ქარვა, როგორც ითქვა, მზის წლიურ გზას უნდა მიგვანიშნებდეს ზოდიაქოს თანავარსკვლავედებს შორის, რომლის ყველაზე რელიეფური მოწმობაა ამირანის გამოსვლა კუროდან, რაც ლომის ზოდის ანალოგიურად კუროს ბურჯს უნდა განასახიერებდეს. ამ გზაზე თავისი კუთვნილი ადგილი ჰქონდა მიჩენილი ვარსკვლავედების ხილულ ერთობლიობას, რომლის შემადგენელ ნაწილს ზოდიაქოს თანავარსკვლავედებიც შეადგენენ და რომელსაც ქართველი ხალხი დღემდე „ირმის ნახტომს“ უწოდებს [4]. თქმულებაში ეს წარმოდგენა განსახიერებული უნდა იყოს ოქროსრქიანი ირმის სახით; რაც შეეხება შავ გველეშაპს, ისიც მჭიდროდაა დაკავშირებული მზის მოძრაობის ხალხურ ციკლთან: მზე ბნელდება მამინ, როდესაც მას გველეშაპი ყლაპავს და მნათობიც იგივე გზით აღწევს თავს მას, რომელიც თქმულების მიხედვით ამირანმა გაკაფა. არქაული ელფერის მქონე კიდევ ერთი ეპიზოდი წარმოაჩენს თვალნათლივ თქმულების ასტრალურ ხასიათს: მკედელი დევის დახმარებით ამირანი შეაღწევს ცაზე დაკიდებულ მზეთუნახავის¹ ბროლის კოშკში და ჯამების განსაზღვრულ წესრიგზე დაწყობაში ეხმარება სატრფოს. მაგრამ ეს საქმე ამირანისათვის იოლი არ აღმოჩნდა, განრისხებულმა გმირმა ერთი ჯამი გატეხა, ცის ბინადარი აფროდიტე-ვენერა მოიტაცა, რითაც არია ჯამების წყობა, განარისხა შემოქმედი ღმერთი და ჰქმნა რიტუალ კოსმოსური მასშტაბის ბრძოლა გადაიხადა მასთან, რომელიც ამირანის დამარცხებით და კლდეზე (პალოზე, ხეზე) მიჯაჭვით² დამთავრდა. ეს აქტი თქმულების თავდაპირველი ქარვის ასტრალური ბუნების გადმონათობა და ცის მნათობის, კერძოდ, მზის მოძრაობას გადმოსცემს სიმბოლურად.

რაც შეეხება ჯამების რაობას, ძეგლის შინაარსის საერთო კოსმოგონიური ხასიათიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, ისიც ცთომილთა ორბიტებს უნდა წარმოადგენდნენ. ამირანი-მზის მიერ ცთომილ ვენერას მოტაცება ვახდა მიზეზი ორბიტა წყობის აღრევისა, ამას კი, როგორც ითქვა, შემოქმედი ღმერთის წყრომა და ამირანის სავანგებო დასჯა მოჰყავა.

საგულისხმოა მკედლების დამოკიდებულება მიჯაჭვული გმირისადმი. ყოველწლიურად (დიდ ზუთშაბათს, აღდგომას ან ახალი წლის დილას) მკედლები გრდემლზე უროს სამჯერ დარტყმით იმ ჯაჭვს ასქელებენ, რომლითაც ამირანი იყო დაბმული და მისი განთავისუფლების მცდელობით წლის განმავლობაში თხელდებოდა. ცხადია, რომ დიდი ზუთშაბათი და აღდგომა ქრისტიანობის დროინდელი ჩანამატია. ჩვენი აზრით, უძველესი ვერსიაში უნდა ყოფილიყო ახალი წლის დილა³, როდესაც მზე-ამირანი თითქოსდა ცოცხლდება, ბუნება ახლდება, გაზაფხული დგება, იწყება ახალი წელი, მზე შედის შესაბამის თანავარსკვლავედში.

რკინის ჰედვის ეპიზოდი კი, რომლის მიხედვითაც მკვლევარნი „ამირანის“ ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანით ათარიღებენ, თქმულებაში გვიან შეტანილი ამბის შთაბეჭდილებას სტოვებს, რადგან აქ ჩვენი აზრით, მოაპოვება სხვა სათარიღო მაჩვენებლები, რომელთა ახლებური გააზრება გვაფიქრებინებს, რომ ჩვენს წინაპართა ზეპირსიტყვიერების უძველესი ძეგლის შექ-

¹ (ივ. ჯავახიშვილისა და დ. შენგელიას კვლევის შედეგები შესაძლებლობას გვაძლევს მზეთუნახავის სახით წარმოვიდგინოთ ცთომილი იშთარი, აფროდიტე, ვენერა [2, 4].

² აკად. გ. ჩიტაიას მართებული შენიშვნით, აქ ჯაჭვის ნაცვლად თავდაპირველად უნდა ყოფილიყო ჰაპანი.

³ მკედლებში შემორჩენილი ეს რიტუალი შესაძლოა იმ გარდასული ჩვეულების ანარეკლსაც შეიცავდეს, როდესაც კალენდრის მოგვარება ჭურუმებს — მკედლებს ევალეობოდათ და ახალი წლის აღდგომას საჩაროდ აცხადებდნენ.

მნის ქვედა საზღვარი ძვ. წ. III ათასწლეულის პირველ ნახევარზე გვიან საგულვეტელი არ არის¹.

შკველევარნი თითქმის ერთხმად მიუთითებენ, რომ „ამირანიანში“ ასახულია შატრიარქატიდან პატრიარქატზე გარდამავალი ეპოქა. არქეოლოგიური მონაცემებით კი ეს პროცესი ჩვენში ძვ. წ. III ათასწლეულის პირველ ნახევარში სრულდება, როცა ვითარდება მიწათმოქმედება და მამაკაცის შრომა მეურნეობის ამ დარგში თანდათან აუცილებელი ხდება. ასეთმა ცვლილებებმა მოითხოვა დედამიწაზე მიმდინარე საზოგადოებრივი ძვრების (მამისეული გვარის გაბატონება) თავისებური ასახვა ცაზე. მიუხედავად იმისა, რომ მზის ქალური საწყისი ქართულ ფოლკლორში დღესაც დავიწყებული არ არის, ამირანიანის დედა-მზის ქალღმერთი დალი, ვაქის დაბადების მომენტში ილუპება და სიცოცხლეს აძლევს მზის კაცურ საწყისს, რაც ცაზე მამაკაცის მიწიერი ძალაუფლების ანარეკლი იყო.

დედის ანდერძით უღლეურმა ამირანმა კუროს ფაშვში უნდა მოითავოს ზრდა და, როგორც ითქვა, ერთგვარად სწორედ ამ ცხოველთანაა დაკავშირებული ამირანი-მზის მეორედ დაბადება. კურო მზის ცხოველად ითვლება, ყოველ შემთხვევაში მას შემდეგ, რაც ხარი მიწათმოქმედების განვითარებასთან ერთად მეურნეობაში ძირითად გამწვევ ძალად იქცა. მაგრამ ხარისა და მზის ამ ურთიერთობას ასტრალური საფუძველიც მოეპოვება, კერძოდ, კურო ზოდიაქოში შემავალი თანავარსკვლავედია. გაზაფხულის დედამეტოლოგიის წერტილი ამ თანავარსკვლავედში ძვ. წ. 4400—2200 წლამდე იმყოფებოდა, რაც დამატებითი საბუთია ამ თქმულების III ათასწლეულში აღმოცენებისა. ჩვენის აზრით, ამ თარიღის დასაზუსტებლად საგულისხმოა აგრეთვე ცეგების ეპიზოდი, სადაც ამირანი ამჟამად უცხადებს მჭედელ დევს, რომ მისი ჩაჭედვა ცეგში თამამად შეიძლება, რადგან იგი სპილენძის კაცია. ცხადია ამირანმა თავი იმ ლითონის კაცად წარმოადგინა, რომელსაც ამ მითოლოგიური თქმულების შექმნის მომენტისათვის პირველობა ჰქონდა მოპოვებული. სპილენძის ხანა კი ჩვენში არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით ძვ. წ. IV ათასწლეულის დამდეგიდან ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარამდე გრძელდებოდა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
 აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია

(შემოვიდა 29.6.1972)

ИСТОРИЯ НАУКИ

Г. Г. ГЕОРГВИАНИ

ПОПЫТКА ДАТИРОВКИ МИФА «АМИРАНИАНИ» НА ОСНОВЕ АСТРАЛЬНЫХ ДАННЫХ

Резюме

Древнейшее грузинское мифологическое сказание «Амираниани», первоначально имевшее космогоническую основу, посвящено описанию годового пути Солнца—Амирани в зодиакальных созвездиях. Принимая во внимание современные достижения археологии, по-новому трактуя эпизоды астрального содержания, полагаем, что мифологическое сказание «Амираниани» возникло не позже первой половины III тысячелетия до н. э.

¹ (არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით ვ. ბარდაველიძე ვარაუდობს, რომ ამ თქმულების უძველესი ფრაგმენტები წარმოქმნის დროით „ვილგამე-შის“ ეპოსს უნდა ეტოლებოდეს [5]. ამავე აზრს იზიარებს არქეოლოგი ტ. ჩუბინი-შვილიც [6].

G. G. GIORGOBIANI

 AN ATTEMPT AT DATING THE *AMIRANIANI* MYTH ON THE
 BASIS OF ASTRAL DATA

Summary

The ancient Georgian mythological legend *Amiraniani*—originally having a cosmogonical basis—dealt with the description of the annual career of the Sun-Amirani in the Zodiacal constellations. Taking into account modern achievements of archaeology and treating episodes of astral content in a new way the author suggests that the mythological legend *Amiraniani* was created not later than the first half of the third millennium B.C.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. შ. ნუცუბიძე. ამირანი, თბილისი, 1945, XI.
2. ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, I, თბილისი, 1951, 159, 155.
3. Н. Марр. Предисловие к «Амиран» (Осетинский эпос). Л., 1932, II.
4. დ. შენგელაია. თხზულებანი, II. თბილისი, 1960, 493, 492, 444.
5. В. Бардавелидзе. Древнейшие верования и обрядовое графическое искусство грузинских племен. Тбилиси, 1963, 92.
6. ტ. ჩუბინიშვილი. ამირანის გორა. თბილისი, 1963, 92.



**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში
 В А К А Д Е М И И Н А У К Г Р У З И Н С К О Й С С Р**

ს ა ი უ ზ ი ლ ე უ ს ა მ ე მ ე ნ ი ე რ ო ს ე ს ი ა

1972 წლის 12—14 ოქტომბერს ჩატარდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების საიუბილეო სესია, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავს. სესიაში მონაწილეობა მიიღეს აზერბაიჯანის სსრ და სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიების დელეგაციებმა.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საპატიო პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ნ. მუსხელიშვილმა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელით სესიას მიესალმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე აკადემიკოსი გ. ძოწენიძე.

სტუმრებს მიესალმა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ე. ხარაძე.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბიოქიმიის, ბიოფიზიკისა და ფიზიოლოგიურად აქტიურ ნაერთთა ქიმიის განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა აკადემიკოსმა ა. ბაევმა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ი. ვეკუამ წაიკითხა მოხსენება „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მიღწევები სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავზე“ (მოხსენების სტენოგრამა მოყვანილია ქვემოთ).

მოხსენება „აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის მიღწევები სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავზე“ გააკეთა აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გ. აბდულაევმა.

მოხსენებით „სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის მიღწევები სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავზე“ გამოვიდა სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ს. ძერგელიანი.

სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. შევარდნაძემ, საქართველოს

კვ ცვ მეორე მდივანმა ა. ჩუბინმა, საქართველოს კვ ცვ მდივანმა მ. გოგიჩაიშვილმა, სკკვ ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების სექტორის გამგემ, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორმა ს. ხროშოვმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. სირაძემ.

13 ოქტომბერს სესიაზე მოსმენილ იქნა მოხსენებები: აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ა. სუმბათზადესი — „სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავი და საბჭოთა კავშირის ხალხთა ერთიან ძმურ ოჯახში ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის ისტორიული განვითარება“, სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ს. მარტჩიანისა — „სომხეთის სსრ წიაღისეული სიმდიდრე და მისი გამოყენების პერსპექტივები“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ა. ბარამიძისა — „ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობისა და ძმობის ლიტერატურული ტრადიციები“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტ ა. გუნიასი — „საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის სისტემაში“ და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტ ვ. ჭავჭავაძისა — „კოპერენტულ სისტემათა კიბერნეტიკა“.

14 ოქტომბერს, მოეწყო საიუბილეო სესიის გამსვლელი სხდომა ქ. ქუთაისში. სხდომა გელათის სახალხო აკადემიის სხდომათა დარბაზში შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ი. ვეკუამ.

მოხსენება თემაზე „ქართული ხელოვნებამცოდნეობა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის“ წაიკითხა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ვ. ბერიძემ.

მოსმენილ იქნა აგრეთვე მოხსენებები ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის მ. ლორთქიფანიძისა — „საქართველო XI საუკუნის დასასრულსა და XII საუკუნის დასაწყისში“ და ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის ო. ლორთქიფანიძისა — „ვანის არქეოლოგიური გათხრები“.

გამსვლელი სხდომის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სკკვ ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების სექტორის გამგემ ს. ხროშოვმა, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ დ. გოგოხიამ, საქართველოს კვ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ო. ბოჭორიძემ.

ЮБИЛЕЙНАЯ НАУЧНАЯ СЕССИЯ

12—14 октября 1972 года состоялась юбилейная сессия Общего собрания Академии наук Грузинской ССР, посвященная 50-летию образования Союза Советских Социалистических Республик. В сессии приняли участие делегации Академии наук Азербайджанской ССР и Академии наук Армянской ССР.

Сессию вступительной речью открыл почетный президент Академии наук Грузинской ССР академик Н. И. Мухелишвили.

От имени Центрального Комитета Коммунистической партии Грузии, Президиума Верховного Совета Грузинской ССР и Совета Министров Грузинской ССР сессию приветствовал председатель Президиума Верховного Совета Грузинской ССР академик Г. С. Дзоценидзе.

Гостей приветствовал вице-президент Академии академик АН Грузинской ССР Е. К. Харадзе.

От имени Президиума АН СССР с приветственной речью выступил академик-секретарь Отделения биохимии, биофизики и химии физиологически активных соединений академик А. А. Баев.

Президент Академии наук Грузинской ССР академик И. Н. Векуа выступил с докладом «Достижения Академии наук Грузинской ССР к 50-летию образования СССР» (стенограмма доклада приводится ниже).

Доклад «Достижения Академии наук Азербайджанской ССР к 50-летию образования СССР» сделал президент Академии наук Азербайджанской ССР член-корреспондент АН СССР Г. Б. Абдуллаев.

С докладом «Достижения Академии наук Армянской ССР к 50-летию образования СССР» выступил вице-президент Академии наук Армянской ССР член-корреспондент АН СССР С. Н. Мергелян.

В работе сессии приняли участие первый секретарь ЦК КП Грузии Э. А. Шеварднадзе, второй секретарь ЦК КП Грузии А. Н. Чуркин, секретарь ЦК КП Грузии М. А. Гогичайшвили, заведующий сектором Отдела науки и учебных заведений ЦК КПСС доктор исторических наук С. С. Хромов, заместитель председателя Совета Министров Грузинской ССР В. М. Сирадзе.

13 октября были заслушаны доклады академика АН Азербайджанской ССР А. С. Сумбатзаде «50-летие образования СССР и историческое развитие дружбы народов Закавказья в единой семье народов СССР», академика АН Армянской ССР С. С. Мкртчяна «Богатство недр Армянской ССР и перспективы их использования», академика АН Грузинской ССР А. Г. Барамидзе «Литературные традиции дружбы и братства народов Закавказья», члена-корреспондента АН Грузинской ССР А. Л. Гуния «Социально-экономическое развитие Грузии в системе народного хозяйства СССР» и члена-корреспондента АН Грузинской ССР В. В. Чавчанидзе «Кибернетика когерентных систем».

14 октября состоялось выездное заседание юбилейной сессии в г. Кутаиси. В конференц-зале Гелатской народной академии заседание вступительной речью открыл президент АН Грузинской ССР академик И. Н. Векуа.

Доклад на тему «Грузинское искусствоведение к 50-летию образования СССР» прочел член-корреспондент АН Грузинской ССР В. В. Беридзе.

Были заслушаны также доклады доктора исторических наук М. Д. Лордкипанидзе «Грузия в конце XI и в начале XII веков» и доктора исторических наук О. Д. Лордкипанидзе «Археологические раскопки в Вани».

В работе выездного заседания приняли участие заведующий сектором Отдела науки и учебных заведений ЦК КПСС доктор исторических наук С. С. Хромов, заведующий Отделом пропаганды и агитации ЦК КП Грузии Д. В. Гогохия, первый секретарь Кутаисского городского комитета Коммунистической партии Грузии О. С. Бочондзе.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დელეგაციამ, აკადემიის პრეზიდენტის აკადემიკოს ი. ვეკუას მეთაურობით, მონაწილეობა მიიღო სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის (25—27 ოქტომბერს, ქ. ერევანში) და აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის (20—22 ნოემბერს, ქ. ბაქოში) ხაერთო კრებების მუშაობაში. რომლებიც მიეძღვნა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს.

აკადემიკოსმა ი. ვეკუამ სესიებზე წაიკითხა მოხსენება: „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მიღწევები სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავზე“.

ქ. ერევანში მოხმენილ იქნა აგრეთვე აკადემიის წევრ-კორესპონდენტის შ. ძიძიგურის მოხსენება „ენათმეცნიერება საქართველოს სსრ რესპუბლიკაში“; ქ. ბაქოში — ისტ. მეცნ. დოქტორის მ. ნათელაძის მოხსენება „საბჭოთა საქართველო სსრ კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში“.

Делегация Академии наук Грузинской ССР во главе с президентом Академии академиком И. Н. Векуа приняла участие в работах общих собраний юбилейных сессий АН Армянской ССР (25—27 октября, г. Ереван) и АН Азербайджанской ССР (20—22 ноября, г. Баку), посвященных 50-летию образования СССР.

Академик И. Н. Векуа выступил на сессиях с докладом «Достижения Академии наук Грузинской ССР к 50-летию образования СССР».

В Ереване был заслушан также доклад члена-корреспондента АН Грузинской ССР Ш. В. Дзидзигури «Языкознание в Грузинской ССР»; в Баку — доктора ист. наук М. В. Натмеладзе «Советская Грузия в братской семье народов Советского Союза».

აკადემიკოსი ი. ვიკტორია

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

საქართველოს სსრ მშენებლობათა აკადემიის მიღწევები სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავზე*

საბჭოთა სახელმწიფო სისტემა დიდი ლენინის შემოქმედებითი გენიის ნაყოფია. ლენინმა ჯერ კიდევ დიდი ოქტომბრის რევოლუციამდე დააფუძნა ახალი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს აშენების საფუძვლები. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ მთლიანად გაძარტლდა ლენინის წინასწარმეტყველება. სამოქალაქო ომისა და უცხოეთის ინტერვენციის დროს მშრომელები საკუთარი გამოცდილებით თვალნათლივ დარწმუნდნენ ბოლშევიკების პოლიტიკის სისწორეში, რომლებიც მოუწოდებდნენ ძალთა გაერთიანებისაკენ კონტრრევოლუციის ჩასახშობად, რათა მთლიანად გაეთავისუფლებინათ ხალხები სოციალური ჩაგვისა და ეროვნული დამონებისაგან. დამთავრდა რა სამოქალაქო ომი და დადგა მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდი, ხალხმა უფრო მეტად შეიგნო დარაზმულობის, ერთიანობისა და ურთიერთდახმარების აუცილებლობა ომის შედეგების ლიკვიდაციისა და სამეურნეო და კულტურული მშენებლობის სწრაფი ტემპების უზრუნველსაყოფად. საბჭოთა ადამიანები არასოდეს არ ივიწყებენ, რომ კაპიტალისტური გარემოცვა სოციალიზმისათვის ყოველთვის საფრთხეს წარმოადგენს. იგი განსაკუთრებით საშიში იყო იმ დროს, როდესაც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები ეკონომიურად შედარებით სუსტი იყო. გარკვეულ საფრთხეს წარმოადგენდა მტრული კლასების ძალთა ნაშთები, რომლებიც დროდადრო ცდილობდნენ სოციალისტური მშენებლობის პროცესში შეეჭმნათ გარკვეული სიძნელები. ხალხთა მასებს კარგად ესმოდათ, რომ ასეთ ვითარებაში კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო შემჯიდროება და ერთიანობა ერთადერთი საიმედო გარანტია იყო რევოლუციურ ბრძოლებში შოპოვებულ გამარჯვებათა განსამტკიცებლად და ქალაქსა და სოფელში ფართო ფრონტით სოციალისტური მშენებლობის გასაშლელად. ამიტომაც, თანაბარუფლებიანი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკებისაგან შემდგარი ერთიანი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნის ლენინურმა გეგმამ ყველა რესპუბლიკის ფართო მასებში მხარდაჭერა ჰპოვა. ამ ვითარებაში ვლადიმერ ილიას ძე ლენინის წინადადებით 1922 წლის დეკემბერში შეიქმნა ხალხთა დიდი გაერთიანება — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი.

კავშირობის ისტორიის მანძილზე მრავალი მსხვილი სახელმწიფო გაერთიანება შექმნილა. ზოგი მათგანი დიდი ხნის განმავლობაში არსებობდა. ყველა ის სახელმწიფო, გარდა სსრ კავშირისა, დაფუძნებული იყო მშრომელთა მილიონიანი მასების მკაცრ ექსპლუატაციაზე და ემყარებოდა იძულების მრისხანე ზომებსა და დამონებას. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავ-

* საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების საიუბილეო სესიაზე 1972 წლის 12 ოქტომბერს წაითხული მოხსენების სტენოგრამა.

შირი, მათგან განსხვავებით, შექმნილია ნებაყოფლობითს საწყისებზე და მის შემადგენლობაში შემავალი ერებისა და ხალხების სრული თანასწორუფლებიანობის პრინციპებზე. საბჭოთა სახელმწიფო წყობილება პარმონიულად აერთიანებს მშრომელთა სოციალურ და ეროვნულ ინტერესებს, რაზმავს საბჭოთა კავშირის ხალხებს კომუნისტური საზოგადოების ასაშენებლად, უზრუნველყოფს დიდი და მცირე ერებისათვის სამეურნეო და კულტურული განვითარების ერთნაირ პირობებს. ყველაფერი ეს კარგად ჩანს საქართველოს სსრესპუბლიკის მაგალითზე.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებით ქართველი ხალხის ისტორიაში დიდი როლი შეასრულა ეკონომიური და კულტურული აღორძინებისა და აყვავების დიდი ახალი ერა.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ კულტურისა და მეცნიერების განვითარებისათვის შექმნილმა მეტად ხელსაყრელმა პირობებმა უდიდესი შემოქმედებით აღმავლობა გამოიწვია ხალხის ინტელექტუალური ცხოვრების ყველა სფეროში.

ისტორიულ თარიღს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავს — საქართველოს მეცნიერები მნიშვნელოვანი წარმატებებით ეგებებიან. რესპუბლიკაში მეცნიერებათა აკადემიის, მსხვილი უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის, 16 სხვა უმაღლესი სასწავლებლის, 200-ზე მეტი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და ლაბორატორიის არსებობა, სადაც მუშაობს 19 ათასი მეცნიერი თანამშრომელი, მათ შორის 900 დოქტორი და 6000 მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოში მეცნიერული კვლევების ფართო გაქანების ნათელი დემონსტრაციაა. საბჭოთა მეცნიერებაში ქართველი მეცნიერების მიერ შეტანილ მნიშვნელოვან წვლილზე შეტყუვლებს ის ფაქტიც, რომ 14 მეცნიერს მინიჭებული აქვს ლენინური პრემია, 56-ს — სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიები, ხოლო 30-ზე მეტს — სხვადასხვა სახელობითი პრემია.

ეს წარმატებები მოპოვებულ იქნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ, კომუნისტური პარტიის ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის შედეგად. მანამდე, მხოლოდ 3 წლით ადრე მეცნიერთა ჯგუფის ინიციატივით, რომელსაც სათავეში ედგა ივანე ჯავახიშვილი, დაარსდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. უნივერსიტეტის გახსნა — ეს დიდი ისტორიული მოვლენა ქართველი ხალხის ცხოვრებაში — შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმ ხელსაყრელი პირობების გამო, რაც შეიქმნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ უნივერსიტეტი გადაიქცა ეროვნული კადრების მომზადებისა და მეცნიერული მუშაობის დიდ კერად.

უნდა აღიხიშნოს აგრეთვე, რომ რესპუბლიკაში მეცნიერების ზრდის სწრაფ ტემპებს მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი იმ მდიდარმა კულტურულმა მემკვიდრეობამ, რომელიც ქართველ ხალხს წარსულმა დაუტოვა.

მნიშვნელოვანი წარმატებებით ხვდება საიუბილეო თარიღს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემია.

მეცნიერებათა აკადემიის დაარსებისას (1941 წლის თებერვალი) მის შემადგენლობაში შედიოდა 14 სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, რომლებშიც 855 თანამშრომელი მუშაობდა, მათ შორის 30 დოქტორი და 111 მეცნიერებათა კანდიდატი. განვილ პერიოდში აკადემია საბჭოთა კავშირის ერთერთ მსხვილ სამეცნიერო ცენტრად იქცა. დღეისათვის მის შემადგენლობაში 41 სამეცნიერო დაწესებულებაა, სადაც მუშაობს 4000-ზე მეტი მეცნიერი თანამშრომელი, მათ შორის 300-მდე დოქტორი და 1300-ზე მეტი მეცნიერი.

ბათა კანდიდატი, ხოლო აკადემიის თანამშრომელთა საერთო რიცხვი 8000-ს აღემატება. აკადემიის შემადგენლობაშია 59 ნამდვილი წევრი და 44 წევრ-კორესპონდენტი, ამათგან 10 სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი და წევრ-კორესპონდენტი. 16 ქართველი მეცნიერი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა დარგობრივი აკადემიის წევრია. ჩვენი აკადემიის 30-ზე მეტი მეცნიერი არჩეულია საზღვარგარეთის აკადემიების, სამეცნიერო საზოგადოებებისა და სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციის წევრად.

უნდა აღინიშნოს, რომ აკადემიკოსმა ნიკოლოზ მუსხელიშვილმა, რომელიც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი იყო დაარსებიდან 30 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, თავისი მაღალი მეცნიერული ავტორიტეტითა და გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის პირადი თვისებებით მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი იმ დიდი წარმატებების მოპოვებას, რითაც ჩვენი აკადემია ეგებება ღირსშესანიშნავ თარიღს — სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია დაარსებიდანვე დიდ ყურადღებას უთმობდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერებას. ამ ხნის განმავლობაში განხორციელდა მშენებლობის ფართო პროგრამა. მარტო უკანასკნელ წლებში აშენდა მრავალი თანამედროვე შენობა, ექსპერიმენტული ბაზა და სპეციალური ნაგებობა, რომელთა საერთო ფართობი 47.000 კვ. მეტრს აღემატება. აკადემიის ახალი ობიექტებია კიბერნეტიკის, ხელნაწერთა, მორფოლოგიის, მათემატიკის ინსტიტუტების შენობები და სხვ.

აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი 2 მილიონ ტომს აღემატება. ბიბლიოთეკის ახალ შენობაში არის ფართო სამკითხველო დარბაზები და შექმნილია წიგნადი ფონდის დაცვისა და გამოყენების ყველა პირობა.

აკადემიის გამომცემლობა და სტამბა ყოველწლიურად უშვებს 2000-ზე მეტი თაბახის შოცულობის ნაბეჭდ მეცნიერულ ლიტერატურას. აკადემიის არსებობის მანძილზე გამომცემლობამ გამოსცა 4 ათასზე მეტი დასახელების წიგნი და თემატური კრებული, მათ შორის 1820 მონოგრაფია. ჩვენი გამომცემლობის წიგნადი პროდუქცია „საერთაშორისო წიგნის“ საშუალებით დიდი რაოდენობით ვრცელდება საზღვარგარეთ. 1969 წლიდან საზღვარგარეთ გაყიდულია 400-ზე მეტი სხვადასხვა წიგნი, რომელთა საერთო ტირაჟი 100.000-ს აღწევს. ჩვენი აკადემიის „მოამბეს“ უცხოეთის 350-ზე მეტი უნივერსიტეტი, სამეცნიერო დაწესებულება, საზოგადოება და ცალკეული პირი იწერს. უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ მეცნიერთა ათეულობით მონოგრაფია თარგმნილი და გამოცემულია საზღვარგარეთ. ეს ფაქტები, რასაკვირველია, მოწმობს ჩვენი აკადემიის მაღალ ავტორიტეტს მთელ მსოფლიოში.

მე ახლა შევეცდები ზოგადად მოვხაზო წრე იმ პრობლემებისა, რომლებზედაც მუშაობენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერები და აღვნიშნო მათი გამოკვლევების ზოგიერთი მნიშვნელოვანი შედეგი. შეძლებისდაგვარად ყურადღება გამახვილებული იქნება იმ ფუნდამენტალურ სამუშაოებზე, რომელთაც აგრეთვე მნიშვნელოვანი პრაქტიკული გამოსავალი აქვთ.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს ის წვლილი, რომელიც შეაქვთ მეცნიერებებმა ქართველ მათემატიკოსებსა და მექანიკოსებს. ფართოდაა ცნობილი მათი ფუნდამენტური გამოკვლევები, რომელთაც მნიშვნელოვანი

გამოყენება აქვთ მექანიკაში, ფიზიკაში, გეომეტრიაში, სამშენებლო საქმეში. ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგებია მიღებული დრეკადობის მათემატიკურ თეორიასა და დიფერენციალურ და ინტეგრალურ განტოლებათა თეორიაში, ფუნქციათა თეორიაში, ტოპოლოგიაში, ოპტიმალური პროცესების თეორიასა და ვარიაციათა აღრიცხვაში, ალბათობათა თეორიასა და მათემატიკურ სტატისტიკაში, გამოთვლით მათემატიკაში და სხვ. განსაკუთრებით უნდა ითქვას იმ დიდ მუშაობაზე, რომელიც ახლა ვითარდება გამოთვლით მათემატიკაში სხვადასხვა სისტემის ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანების გამოყენების ბაზაზე.

ქართველი მათემატიკოსების მონაგრადიები თარგმნილია უცხოურ ენებზე და ფართოდაა ცნობილი მთელი მსოფლიოს სპეციალისტთა შორის.

ქართველი ფიზიკოსების მიერ ჩატარებულია მნიშვნელოვანი თეორიული და ექსპერიმენტული გამოკვლევები ისეთ დარგებში, როგორცაა ბირთვული ფიზიკა, დაბალ ტემპერატურათა ფიზიკა, მყარი სხეულის ფიზიკა, ბიოფიზიკა. დიდი წვლილი შეაქვთ ქართველ მეცნიერებს ელემენტარულ ნაწილაკთა ფიზიკის განვითარებაში. მათ მიერ შექმნილი სტრიატული კამერა ფართოდ გამოიყენება მსოფლიოს მრავალ უდიდეს ამაჩქარებელში. მისი დახმარებით ელემენტარულ ნაწილაკთა ფიზიკის დარგში გაკეთებულია რიგი მნიშვნელოვანი აღმოჩენებისა.

აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიას ეკუთვნის ახალი და ზეახალი ვარსკვლავების, პლანეტარულ ნისლოვანებათა, გაზოვან ნისლოვანებაში სინათლის პოლარიზაციისა და სხვა აღმოჩენები. აქ მსოფლიო პრაქტიკაში პირველად მთვარის ზედაპირის ფიზიკური თვისებების შესასწავლად შეიქმნა ასტრონომიული ხელსაწყო — მრავალარხიანი ჰოლაროვიზორ-დისკრიმინატორი.

ქართველ გეოლოგთა შრომებმა ხელი შეუწყო ახალი მადნეული საბადოების აღმოჩენას, რამაც გაამდიდრა სსრ კავშირის სახელმწიფო რესურსები. ამ გამოკვლევათა საფუძველზე დადგენილია მნიშვნელოვანი პროდუქტიულობა ვულკანოგენურ წარმონაქმნებისა, რომლებიც ადრე მადნეული საბადოების ძიებისათვის არაპერსპექტიულად ითვლებოდა. უკანასკნელ წლებში აღმოჩენილია ფერადი ლითონების ახალი დიდი საბადოები. საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის გეოლოგები მონაწილეობენ კავკასიის გეოლოგიური და ტექტონიკური რუკების შედგენაში.

გეოფიზიკის დარგში ჩატარებულ გამოკვლევებს დიდი მნიშვნელობა აქვს სასარგებლო წიაღისეულის ძიებისა და აგრეთვე მშენებლობის ანტისეისმოური ნორმების გამომუშავებისათვის. გეოფიზიკოსების მიერ დამუშავებული სექტყვის საწინააღმდეგო ეფექტური მეთოდები უკვე დანერგილია საქართველოსა და აგრეთვე ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის პრაქტიკაში. ქართველი მეცნიერები სომეხ კოლეგებთან ერთად მონაწილეობას იღებენ ისეთი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებაში, როგორცაა შუა აზიისა და სხვა რაიონების ტერიტორიაზე სათანადო სადგურების ქსელით საცდელი პოლიგონების შექმნა და მათზე გეოფიზიკური ველების, ქაბურღილების ჰიდროქიმიური რეჟიმების, დედამიწის ქერქის დეფორმაციისა და სხვა სტაციონარული დაკვირვებების ჩატარება.

ჩვენი გეოფიზიკოსები სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დედამიწის ფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერებთან ერთად ამიერკავკასიის ტერიტორიის სეისმური რეჟიმის შესწავლის მრავალ საკითხს ამუშავებენ.

გეოგრაფების ნაყოფიერი მუშაობის მაგალითია საქართველოს სსრ კომპლექსური გეოგრაფიული ატლასი, რომელიც მეცნიერთა დიდი კოლექტივის მრავალწლიანი შრომის შედეგია.

ქართველ მეცნიერებს დიდი წვლილი შეაქვთ სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა დინამიკის, სამთო მექანიკისა და მანქანათა მექანიკის მნიშვნელოვან პრობლემათა დაძლევაში. ამ გამოკვლევათა შედეგებს პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს საერთოდ მთიანი ქვეყნებისათვის.

სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედევობის ინსტიტუტის მიერ ჩვენი ქვეყნის სხვა ორგანიზაციებთან ერთად სეისმური რაიონებისათვის დამუშავებულ მშენებლობის საკავშირო ნორმებს ფართო გამოყენება აქვს.

სამთო მექანიკის დარგში მომუშავე მეცნიერები დიდ ღვაწლს უწევენ სამთო მრეწველობის საწარმოებს ისეთი მსხვილი სამეცნიერო-ტექნიკური საკითხების გადაწყვეტაში, როგორცაა საბადოთა დამუშავების სისტემა. სამთო საბუღალოების მექანიზაცია და ავტომატიზაცია, უსაფრთხოების ღონისძიებანი, მადახთა გამდიდრების მეთოდების შექმნა და სხვ. პულსადენებში ჰიდრავლიკური დარტყმის თეორიის საფუძვლების დამუშავებისა და დარტყმის საწინააღმდეგო საშუალებათა გაანგარიშების მეთოდების კვლევის შედეგებმა მოგვცა პულსის ტრანსპორტირებისას ჰიდრავლიკური დარტყმების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა პრაქტიკული განხორციელების საშუალება, რაც მრავალ წარმოებაშია დანერგილი.

აკადემიის მეცნიერთა მიერ დამუშავებულია მალალმთიან პირობებში ექსპლუატაციისათვის გათვალისწინებული ტრაქტორების, ავტომობილებისა და მათი ძრავების გაანგარიშებისა და დაპროექტების თეორიული საფუძვლები.

ჩვენში უკახასკელი ათეული წლის მანძილზე მნიშვნელოვნად განვითარდა მეცნიერების ისეთი ახალი მიმართულებანი, როგორცაა კიბერნეტიკა და ავტომატური მართვა.

ქართველ მეცნიერთა მიერ მუშავდება ახალი ტიპის კიბერნეტიკული სისტემების თეორია, მათთვის უკვე შექმნილია სხვადასხვა ხელსაწყოები, ელემენტები და კვანძები. დამუშავებულია ელექტროენციფალოგრამების გაშიფვრის ახალი მეთოდი, რომელსაც ფართო გამოყენება აქვს.

მართვის სისტემების ინსტიტუტის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მართვის პრობლემათა ინსტიტუტისა და მოსკოვის ერთ-ერთი მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტიური ძალებით ჩატარებულია გამოკვლევა და შექმნილია ჰიბრიდული გამოთვლელი კომპლექსი, რომელიც საავიაციო საცდელი ტრენაჟერების სისტემებში გამოსაყენებლადაა გათვალისწინებული. ამგვარი ტრენაჟერი პირველია საბჭოთა კავშირში. მისი გამოყენება მნიშვნელოვნად აადვილებს ახლად შესაქმნელი საფრენი აპარატების მართვის სისტემების დაპროექტებასა და გამოცდას.

პერვოურალსკის ნოვოტრუბნის ქარხანას ექსპლუატაციისათვის გადაეცა მართვის სისტემების ინსტიტუტში დამუშავებული მილსაგლინავი დგანის მართვის სისტემა.

მეცნიერებათა აკადემიაში დიდი განვითარება ჰპოვა კვლევა-ძიებამ ქიმიის დარგში. ამ გამოკვლევათა მრავალი შედეგი მნიშვნელოვან წვლილს წარმოადგენს ქიმიურ მეცნიერებაში და წარმატებით ინერგება მრეწველობის სხვადასხვა დარგში.

3. მელიქიშვილის სახ. ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტში შექმნილია ფოროვანი სხეულების — მოლეკულური საცრების (ციოლი-

თების) და შათი იონიზირებული ფორმების სინთეზის მეთოდები. ამ შედეგებს არსებითი მნიშვნელობა აქვს ახალი ტექნიკისათვის. ამავე ინსტიტუტში სხვადასხვა ქიმიური პროცესებისათვის შექმნილია ახალი ეფექტური კატალიზატორები. ზოგიერთი მათგანი დაპატენტებულია საზღვარგარეთის ქვეყნებში. აქვე ჩატარებულია საინტერესო გამოკვლევები ორგანული ნაერთების ლუმინესცენტურ თვისებათა შესასწავლად. განხორციელებულია ზოგიერთი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერების სინთეზი, რომელთა შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მცენარეთა ქლოროზის საწინააღმდეგო პრეპარატები და ზოგიერთ ავთვისებიან სიმსივნეთა საწინააღმდეგო ნივთიერებანი. ჩვენი მეცნიერების მიერ დამუშავებულია ახალი ეფექტური ლუმინოფორების ძილების ტექნოლოგია და შექმნილია ამ პროდუქტის საცდელი წარმოება. ლუმინოფორები ეგზავნება საბჭოთა კავშირის 100-ზე მეტ მანქანათმშენებელ, გემთმშენებელ, საავიაციო და სხვა ქარხნებს. დანერგვით მიღებული ეკონომიური ეფექტურობა მანქანათა საპასუხისმგებლო ნაწილების სამედიცინო ამალღებით განისაზღვრება. ქართველი ქიმიკოსები აზერბაიჯანის მეცნიერებთან ერთად მონაწილეობენ იმ სამუშაოთა შესრულებაში, რომლებიც ეხება სხვადასხვა ტიპისა და ფორმის სინთეზური ცეოლითების ფიზიკურ-ქიმიური თვისებების კომპლექსურ შესწავლას. აღნიშნული გამოკვლევები ტარდება ცეოლითების გამოყენების შესაძლებელი სფეროების შეფასების მიზნით.

მნიშვნელოვანი სამუშაოებია შესრულებული მანგანუმისა და მისი ნაერთების ქიმიისა და ელექტროქიმიის დარგში. ჩვენი მეცნიერების მიერ დამუშავებული ახალი ტექნოლოგია საფუძვლად უდევს საქართველოში ილიქტროლიზური მარგანეცის წარმოებას.

საბჭოთა კავშირში გამოიმუშავებული მნიშვნელოვანი ქიმიური ნაერთის — კალიუმის პერმანგანატის დიდი ნაწილი მზადდება რუსთავის ქიმიკომბინატში არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტში დამუშავებული ორიგინალური ტექნოლოგიის საფუძველზე. ჩვენივე ქიმიკოსების მიერ დამუშავებული სხვა ტექნოლოგიის საფუძველზე რესპუბლიკაში აშენდა სსრ კავშირში პირველი ძალაქტიური ელექტროლიზური მარგანეცის ორჯანგის წარმოების სამრეწველო ობიექტი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენი ქვეყნის ელექტროტექნიკური მრეწველობისათვის. დამუშავებულია მანგანუმის ღარიბი მადნების გამდიდრების ქიმიური და ელექტროქიმიური პერსპექტიული მეთოდები, აგრეთვე სუსტად შეცხოვადი ნახშირებისაგან მეტალურგიული კოქსის მიღების მეთოდები, რომელთაც მეტად დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვთ.

მეტალურგიის ინსტიტუტის თანამშრომელთა ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით საბჭოთა კავშირში დაწყებულ იქნა ფეროშენადნობთა მრეწველობის რეკონსტრუქცია, ამისათვის სპეციალურად შექმნილი მადანთერმული დახურული ტიპის ელექტროლუმენების გამოყენებით, რამაც მკვეთრად ააძალა წარმოების ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები. მნიშვნელოვანი სამუშაოებია ჩატარებული საკავშირო სტანდარტების გადასინჯვის, განახლებისა და ახალთა შექმნის დარგში. საგულისხმო შედეგებია მოპოვებული ახალი ტექნიკისათვის საჭირო ლითონთა და შენადნობთა სუფთა და ზესუფთა სახით მიღებაში.

საქართველოში გავრცელებულ მცენარეთა ყოველმხრივი შესწავლის საფუძველზე, ი. ქუთათელაძის სახ. ფარმაცოქიმიის ინსტიტუტში მიღებულია

და წარმატებით გამოიყენება სამედიცინო პრაქტიკაში 60-ზე მეტი ეფექტური სამკურნალწამლო პრეპარატი.

მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს ბიოლოგებმა. ფართოდაა ცნობილი ქართველ ფიზიოლოგთა სკოლის ფუნდამენტური გამოკვლევები ადამიანისა და ცხოველთა უმაღლესი ნერვული მოქმედებისა და ნეიროფიზიოლოგიის ძირითად კახონზომიერებათა, ნერვული სისტემის ფუნქციონალური ბიოქიმიის, ცხოველთა ორგანიზმზე რადიაციის ზემოქმედებისა და სხვა მნიშვნელოვან პრობლემათა შესწავლაში. ამჟამად მიმდინარეობს მეხსიერების ფიზიოლოგიური და ბიოქიმიური საფუძვლების ინტენსიური შესწავლა. შექმნილია ცხოველთა სხვადასხვა სახის მეხსიერების ახალი კლასიფიკაცია და ამ სახეთა წარმოშობის ორიგინალური თეორია.

მნიშვნელოვანი საძუთაობებია ჩატარებული ბოტანიკოსების მიერ რესპუბლიკის მცენარეული რესურსების შესასწავლად. გამოცემულია კაპიტალური შრომები: „საქართველოს მცენარეთა სარკვევი“, „საქართველოს ფლორა“, „სქესი მცენარეებში“, რომლებიც სხვადასხვა ფლორისტული გამოკვლევების ჩატარების საფუძველს წარმოადგენს. ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ბოტანიკოსების შემოქმედებითი თანამეგობრობის შედეგია სსრ კავშირის სახელმწიფო გეობოტანიკური რუკის კავკასიის ბლოკის შედგენა.

აკადემიის ბოტანიკურ ბაღებში ინტროდუცირებულია დიდი სამეურნეო მნიშვნელობის მქონე მრავალი სუბტროპიკული მცენარე.

საქართველოს ბუნებრივი ზონების მიხედვით ხმელეთის ცხოველთა ზოგიერთი ჯგუფის ეკოლოგიურ-გეოგრაფიული შესწავლისა და შინაგანი წყალსაცავების ჰიდრობიოლოგიური და იქთოლოგიური გამოკვლევების შედეგებს დიდი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის.

პალეობიოლოგების მიერ დამუშავებული და შესწავლილია ევოლუციური მოძღვრების ისეთი მნიშვნელოვანი თეორიული საკითხები, როგორცაა ბუნებრივი შერჩევის თეორია და ევოლუციური პროგრესი, ორგანულ ფორმათა ცვალებადობა, ორგანიზმთა ამოწყვეტა, ფილოგენეზისა და ონთოგენეზის ურთიერთკავშირი და სხვ.

უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში წარმატებით ვითარდება კვლევები მცენარეთა ბიოქიმიის, მოლეკულურ ბიოლოგიასა და ბიოლოგიის სხვა დარგებში. მიღებულია საინტერესო მოხაჯემები, რომელთა საფუძველზე შესაძლებელი გახდა ახალ ასპექტში იქნეს განხილული მცენარეთა კვება ორგანული ნაერთებით და დამუშავდეს ატმოსფეროსა და ჩამდინარე წყლების გაწმენდის ბიოლოგიური მეთოდები. ჩვენი ბიოქიმიკოსების მიერ დამუშავებული მცენარეული კულტურებიდან ფიზიოლოგიურად აქტიურ მნიშვნელოვან ნივთიერებათა გამოყოფის მეთოდები დაპატენტებულია საზღვარგარეთის ქვეყნებში. რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ა. ბახის სახ. ბიოქიმიის ინსტიტუტთან ერთად წარმატებით აძუშავებს მცენარეთა ფიზიოლოგიისა და ბიოქიმიის პრობლემებს.

ბიოფიზიკოსებმა გახაზორციელეს მოდელური ექსპერიმენტები, რომლებმაც კუნთის შეკუმშვისა და ფერმენტ-სუბსტრატული ურთიერთქმედების ახსნის საშუალება მოგვცა.

აკადემიის მეცნიერთა მიერ ადამიანისა და ცხოველთა მორფოლოგიის დარგში ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლენილი და დადგინილია კახონზომიერებანი, რომლებიც დამახასიათებელია სისხლის ძარღვების კაპილარული ქსელისათვის.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში თავიდანვე ფართო ფრონტით შიშდინარეობდა სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში.

ქართველი ხალხის ისტორიის, მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობისა და ფოლკლორის, ქართული ხელოვნებისა და ენის ისტორიულ-ფილოლოგიურ გამოკვლევათა მეცნიერული შესწავლის გარკვეული ტრადიციები საქართველოში ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დამკვიდრდა. ეს გამოკვლევები შიშდინარეობდა როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი ქართველოლოგიის შიშვენელოვანი კერა იყო. ეს ფაკულტეტი დაამთავრა მრავალმა ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა და ფილოლოგმა, რომლებმაც ისტორიულ-ფილოლოგიურ კვლევათა დიდი კერა შექმნეს ჯერ თბილისის უნივერსიტეტში, ხოლო შემდეგ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში.

აღსანიშნავია, მაგალითად, ის ღრმა გამოკვლევები, რომლებიც შესრულებულია ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მიერ საქართველოს უძველეს, შუა საუკუნეების, ახალ და უახლეს ისტორიაში. დაწერილია კაპიტალური შრომები, რომლებშიც გაშუქებულია საქართველოს ისტორიული კავშირები ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებთან, საბერძნეთთან, რომთან, ბიზანტიასთან, ირანთან, თურქეთთან, რუსეთთან, ევროპის სახელმწიფოებთან. ისტორიკოსების დიდი კოლექტივის გაერთიანებული ძალებით იქმნება „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რვატომიანი კაპიტალური შრომა. უკვე გამოქვეყნებულია ამ ნარკვევების I და V ტომები.

ცნობილია ქართველ მეცნიერთა ბრწყინვალე არქეოლოგიური აღმოჩენები. საქართველოს სხვადასხვა რაიონში ნაპოვნია მატერიალური კულტურისა და ეპიგრაფიკის მრავალი მნიშვნელოვანი ძეგლი. არქეოლოგიურ მონაპოვართა უძვირფასესი კოლექციები ინახება მეცნიერებათა აკადემიის ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

ქართველი ხალხი მთელი თავისი ისტორიის მანძილზე ამიერკავკასიის მოძმე ხალხებთან გვერდით ცხოვრობდა და მათთან ერთად უხდებოდა ბრძოლა უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ. ამიტომ, ბუნებრივია, რომ მრავალი გამოკვლევა მიეძღვნა სომეხი, აზერბაიჯანელი და ქართველი ხალხების ისტორიულ კავშირებს, რეეოლუციური მოძრაობის შესწავლას, განსაკუთრებით საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკების ხელმძღვანელობით შრომელთა მასების გმირულ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის. მრავალი ამ გამოკვლევათაგანი ამიერკავკასიის რესპუბლიკების ისტორიკოსთა ხყოფიერი ურთიერთთანამშრომლობისა და კონსულტაციების შედეგია. შემდგომში კიდევ უფრო მეტად უნდა გაღრმავდეს თანამშრომლობა ამ მიმართულებით, პრაქტიკაში დაინერგოს ურთიერთშორის კონსულტაციები, განსაკუთრებით საკამათო საკითხების განხილვისას, რომლებიც შემოქმედებითი ძიებისას არ შეიძლება არ წარმოიშვას. რასაკვირველია, ისტორია ხელოვნურად არ უნდა შევალამაზოთ, მაგრამ, ცხადია, ასევე არაა საჭირო ზოგი წერილმანის ვაზვიადება. მათ უმეტეს, რომ ჩვენი ხალხების მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობა საესეა კეთილმობილების, მეგობრობის, ურთიერთთავაგებისა და ძმური დანმარების მრავალი მაგალითით.

მეტად ფართოა ქართველი ლინგვისტების მეცნიერული ინტერესები. მათი გამოკვლევები ძირითადად ეძღვნება ქართველური ენების შესწავლას, მის გენეზისსა და კავშირებს ძირითადად კავკასიურ ენებთან. ამ მიმართულებით



ჩატარებულია ღრმა გამოკვლევები, რომლებიც ზოგადლინგვისტიკური თვალსაზრისითაც საინტერესოა, რადგან, როგორც ცნობილია, ქართველურ ენებს სხვა ენობრივ სისტემებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია. ამიტომაც ისინი სხვადასხვა ქვეყნების ლინგვისტების ყურადღებას იპყრობენ.

ქართველი ენათმეცნიერების უმხიშვნელოვანესი მიღწევაა რვატომიანი „ქართული ენის გახმოვანებითი ლექსიკონის“ გამოცემა. გარდა ამისა, უნიფიცირებული და გამოცემულია 40 ტერმინოლოგიური ლექსიკონი. დიდი მუშაობა წარმოებს ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის შესაქმნელად.

დიდი წარმატებებია მოპოვებული აღმოსავლეთმცოდნეობის დარგში. თანამედროვე ლინგვისტური თეორიების ასპექტში დამუშავებულია მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ძველი და თანამედროვე ენების (არაბულის, არამეულის, თურქულის, სპარსულის, ხეთურის, ურარტულისა და სხვ.) სტრუქტურის კარდინალური საკითხები.

გამოქვეყნებულია მრავალი გამოკვლევა კავკასიისა და მახლობელი და შუა აზიის ხალხთა კულტურულ-ისტორიულ და ლიტერატურულ ურთიერთობათა დარგადან. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პრობლემების კვლევას, რომელსაც მიეძღვნა მრავალრიცხოვანი გამოკვლევები ენოგრაფიებისა და სტატიების სახით.

ქართველ აღმოსავლეთმცოდნეთა გამოკვლევები ფართოდაა ცნობილი როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ. მათ შეაქვე მნიშვნელოვანი წვლილი საბჭოთა და მსოფლიო მეცნიერების განვითარებაში.

დიდი სამუშაოებია ჩატარებული ქართული სულიერი კულტურის დამწერლობითი იეგლების გამოვლენისა და შესწავლისათვის. გამოცემულია ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის 16 ტომი.

დიდი მოცულობისა და მეტად შედეგიანი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობაა ჩატარებული მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლისა და ლიტერატურული ძეგლების პუბლიკაციისათვის. შექმნილია ფუნდამენტური შრომები: „ქართული ლიტერატურის ისტორია“ ექვს ტომად (პირველი სამი ტომი უკვე გამოცემულია), „ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები“ (რუსულ ენაზე) და სხვ. დიდი მუშაობა წარმოებს „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემის მოსამზადებლად.

ფართო აღიარება ჰპოვა ქართული ხელოვნების ძეგლების ღრმა გამოკვლევათა შედეგებმა. მრავალი მონოგრაფია გამოქვეყნდა ანტიკური, საშუალო საუკუნეების, ახალი (XIX საუკუნის) და ქართული საბჭოთა არქიტექტურის, ფერწერის, ქანდაკების, ქედურობისა და გამოყენებითი ხელოვნების პრობლემებზე. ქართული ხელოვნების ისტორიის დარგში მოპოვებული მიღწევების პოპულარიზაციისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ისეთ გამოკვლევათა გამოცემას, როგორიცაა „ქართული ხელოვნების ისტორია“, „ქართული ჰიდური ხელოვნება“ და სხვ.

ფილოსოფიის დარგში შესრულებული სამუშაოები მიეძღვნა შემეცნების თეორიის კარდინალურ საკითხებს, მატერიალისტური დიალექტიკის ცალკეული კატეგორიების არსის გამოკვლევას, აგრეთვე საქართველოში ფილოსოფიური აზრის განვითარების ისტორიას.

ქართველი ფსიქოლოგების მიერ შექმნილმა განწყობის თეორიამ საბჭოთა და საზღვარგარეთელი სპეციალისტების მაღალი შეფასება დაიმსახურა. იგი ფართოდ გამოიყენება სოციოლოგიური კვლევების დროს.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დარგში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა იმ პრობლემათა დამუშავებას, რომლებიც მჭიდროდაა დაკავშირებული კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ამოცანებთან. მნიშვნელოვანი გამოკვლევებია შესრულებული საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარების ისტორიის საკითხებზე.

ქართველი სპარტლისმცოდნეების მიერ ჩატარებულია სამუშაოები იურისპრუდენციის აქტუალურ პრობლემებზე.

დიდ მუშაობას ეწევა საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში სამეცნიერო ინფორმაციის სექტორი.

ფართო განვითარება ჰპოვა სამეცნიერო-კვლევითმა მუშაობამ საქართველოს ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებში. აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში შექმნილია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სპეციალური სამეცნიერო დაწესებულებები, რომლებიც ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერთა მრავალი გამოკვლევა მჭიდროდაა დაკავშირებული სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ტემპების დაჩქარებასთან. ისინი ხელს უწყობენ საწარმოო პროცესების შემდგომ ავტომატიზაციას, მნიშვნელოვანი ნაერთებისა და ნივთიერებების მიღების ახალი მეთოდებისა და ტექნოლოგიის დამუშავებას, რომლებიც ფართოდ გამოიყენება სახალხო მეურნეობაში.

მეცნიერე ხუთწლედის პირველ წელს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში დანერგულია რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებების მიერ შესრულებული 30-მდე წინადადება. ხოლო უკანასკნელ წლებში დამთავრებულ სამუშაოთა რეალობის შედეგად მიღებულმა ეკონომიურმა ეფექტმა რამდენიმე ათეული მილიონი მანეთი შეადგინა.

შემდგომი განვითარება ჰპოვა წარმოებასთან კავშირის ისეთმა ფორმებმა, როგორცაა რესპუბლიკის წამყვან სამრეწველო საწარმოებთან სამეცნიერო დაწესებულებების მრავალწლიანი ხელშეკრულებები. ამის მაგალითია შემოქმედებითი თანამშრომლობის ხელშეკრულებების დადება ქიმიური ინსტიტუტებისა — რუსთავის ქიმიკონინატიან და მეტალურგიის ინსტიტუტისა — რუსთავის მეტალურგიულ ქარხანასთან.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტები სოციალისტური ქვეყნების მეცნიერებთან ერთად შემოქმედებითს მუშაობას ეწევიან როგორც ეკონომიური ურთიერთდამარბის საბჭოს სამეცნიერო და ტექნიკურ გამოკვლევათა პროგრამით, ისე ორმხრივი თანამშრომლობის ხელშეკრულებებით. ასე, მაგალითად, ქართველმა მეცნიერებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს კუბის დიდი ატლასის შედგენაში.

მნიშვნელოვანი კონტაქტებია დამყარებული კაპიტალისტური ქვეყნების მეცნიერთან. აღსანიშნავია, რომ ბირთვულ გამოკვლევათა ევროპულ ცენტრში (ჟენევა) ქართველი ფიზიკოსების ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით შესრულებული სამუშაოს შედეგად აღმოჩენილია ოთხი ელემენტარული ნაწილაკი.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის განსაკუთრებული ზრუნვის საგანი ყოველთვის იყო მეცნიერული კადრების მომზადება. ამ მიმართულებით დიდი მუშაობაა ჩატარებული. განვლილ პერიოდში აკადემია შეივსო ძლიერი ახალგაზრდა მეცნიერული კადრებით. საკმარისია ითქვას, რომ 30 წლის განმავლობაში აკადემიის დაწესებულებებში მეცნიერებათა დოქტორებისა და კანდიდატების რაოდენობა ათჯერ გაიზარდა. აკადემიის მეცნიერ თანამშრომელთა ძირითად კონტინგენტს თბილისის უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის კურსდამთავრებულები შეადგენენ.

მეცნიერული კადრების მომზადების საქმეში, განსაკუთრებით სადოქტორო დისკრტაციების დაცვის მხრივ, მნიშვნელოვანი წარმატებანი გვაქვს მათემატიკის, გეოლოგიის, ბიოლოგიისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა მრავალ დარგში.

ძაღლობის გრძნობით უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერული კადრების მომზადებაში აკადემიას დიდ დახმარებას უწევს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტები, მოსკოვისა და ლენინგრადის უნივერსიტეტები, აგრეთვე რიგი მოკავშირე რესპუბლიკების აკადემიები.

მეცნიერული სოკიერთ სხვა საკითხებზე, რომლებიც ჩვენს აკადემიის მხრიდან ზრუნვასა და ყურადღებას მოითხოვს.

მეცნიერება ჩვენს ქვეყანაში პარტიისა და მთავრობის განსაკუთრებული ზრუნვის საგანს წარმოადგენს. ამის შედეგად საბჭოთა მეცნიერება გავიდა



მოწინავე პოზიციებზე. იგი საწარმოო ძალებისა და პროცესების განვითარებისა და სრულყოფის მძლავრი ბერკეტი გახდა.

პარტიის XXIV ყრილობაზე თავის საინგარიშო მოხსენებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჯნევიმა მეცნიერების წინაშე დააყენა დიდმნიშვნელოვანი ამოცანა: აუცილებელია „სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის მიღწევები ორგანულად შეერწყას მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობებს, ფართოდ განვითარდეს თავისი, სოციალიზმისათვის დამახასიათებელი მეცნიერების წარმოებასთან შეერთების ფორმები“.

სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას გათვალისწინებული აქვს სამეცნიერო დაწესებულებების მუშაობის ეფექტურობის შემდგომი ამაღლება, ძალებისა და საშუალებათა კონცენტრაცია თანამედროვე მეცნიერების იმ უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე, რომელთა გადაჭრა ხელს შეუწყობს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ტემპების დაჩქარებას. განსაკუთრებით უნდა გავამახვილოთ ყურადღება მეცნიერული მიღწევების წარმოებაში დანერგვის საკითხებზე. აუცილებელია მთელი რიგი ორგანიზაციული ხასიათის საერთო სახელმწიფოებრივ ღონისძიებათა ჩატარება, იმ წინააღმდეგობათა ლიკვიდაცია, რომლებიც მნიშვნელოვანი მეცნიერული მიღწევების პრაქტიკულ რეალიზაციას ამუხრუჭებენ. კერძოდ, საჭიროა მივბაძოთ სსრ კავშირისა და ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიებს და შევქმნათ სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო და საცდელი წარმოება, რომელიც დააჩქარებს მრავალი სამეცნიერო სამუშაოს პრაქტიკულ რეალიზაციას, კერძოდ, ეს ხელს შეუწყობს ხელსაწყოთმშენებლობის განვითარებას.

ჩვენ ვიცით რა დიდი ყურადღება ეთმობა საბჭოთა ქვეყანაში მეცნიერული კადრების აღზრდასა და მომზადებას, მათი კვალიფიკაციის ამაღლებას. ამაზე სახელმწიფო დიდ თანხას ხარჯავს. ამიტომ აუცილებელია მეცნიერ მუშაკებს შეექმნას მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობები სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ინტენსიურად წარმართვისათვის, მიღებული შედეგების პრაქტიკული ოქალიზაციისათვის. ჩვენი აკადემიის ამოცანაა რადიკალურად გავაუმჯობესოთ მეცნიერთა მუშაობის პირობები, უზრუნველყოთ ისინი სამეცნიერო აპარატურითა და მასალებით.

აკადემია მომავალშიც უფრო მეტად იზრუნებს სამეცნიერო ობიექტების მშენებლობის დაჩქარებისათვის, მთავრობის მიერ ამ მიზნით გამოყოფილი საკმაოდ დიდი თანხების რაციონალურად და დროულად ათვისებისათვის.

აუცილებელია აგრეთვე მეტი მზრუნველობა გამოვიჩინოთ მეცნიერთა დასვენებისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციისადმი. ამ მხრივ მაგალითი უნდა ავიღოთ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისაგან, რომელსაც სამკურნალო და პროფილაქტიკურ დაწესებულებათა ფართო ქსელი გააჩნია.

ალბათ, ანალოგიური საკითხები დგას სომხეთისა და აზერბაიჯანის აკადემიების წინაშეც. ამიტომ სასარგებლო იქნებოდა მათი გადაწყვეტის პროცესში გამოცდილების გაზიარება, ურთიერთრჩევით სარგებლობა, კონსულტაციები და ერთმანეთის მხარდაჭერა.

საბჭოთა მეცნიერების განვითარებაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ საქართველოს მეცნიერები. მათი წარმატება განპირობებულია რესპუბლიკის პარტიული და სახელმწიფო ორგანოების მუდმივი ყურადღებითა და მხარდაჭერით. საქართველოს მეცნიერები მზად არიან, რათა შემდგომშიც იმუშაონ ძალების მაქსიმალური დაძაბვით იმ ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებიც საბჭოთა მეცნიერების წინაშე დააყენა პარტიის XXIV ყრილობამ, მაქსიმალურად შეზარდონ მეცნიერული გამოკვლევების ეფექტურობა, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ტექნიკური პროგრესის ტემპების დაჩქარებას.

ამიერკავკასიის მომხმე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიებს შორის მეგობრული და საქმიანი კავშირები ჯერ კიდევ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის ფილიალის არსებობიდან დაიწყო. ეს კავშირები განუწყვეტლივ მტკიცდებოდა და ღრმავდებოდა რესპუბლიკური პარტიული

და სახელმწიფო ორგანოების ხელმძღვანელობით დამოუკიდებელი აკადემიების შექმნის მომხმარებელი. სამი აკადემიის მეცნიერთა მონაწილეობით სისტემატურად ტარდებოდა ერთობლივი საიუბილეო, სამეცნიერო კონფერენციები და სიმპოზიუმები, აგრეთვე კოლექტიური ძალებით მუშავდებოდა დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის მეცნიერული პრობლემები. გამოვთქვამთ რწმენას, რომ მეგობრობისა და თანამშრომლობის დადგენილი კეთილი ტრადიცია შემდგომშიც იქნება ამიერკავკასიის მეცნიერთა გაერთიანებული ძალების წყარო მეცნიერული და სახალხო-სამეურნეო პრობლემების გადასაწყვეტად.

ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ხალხების ერთიან საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად გაერთიანებამ ნაყოფიერი მეცნიერული თანამშრომლობის ქეშმარიტად ფართო შესაძლებლობები შექმნა. ამ დიდ კავშირს საფუძვლად ხალხთა მეგობრობა უდევს. იგი გამოიჭედა ერთობლივ რევოლუციურ ბრძოლებსა და სამოქალაქო ომის პერიოდში. დიდი სამამულო ომის დროს ეს მეგობრობა იმ უძლიერეს ძალად იქცა, რომელმაც დაამარცხა ვერაგი მტერი. მეგობრობის მძლავრი ძალა, რომელიც აერთიანებს საბჭოთა მეცნიერებს, დიდად უწყობს ხელს მეცნიერების განვითარებას ჩვენს ქვეყანაში, მისი ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობას. ვასრულებთ რა ლენინის ანდერძს, ჩვენ შემდგომში კიდევ უფრო გავაღრმავებთ ამ მეგობრობას, განვამტკიცებთ მას ყველა საშუალებებით. ეს ჩვენი წმინდა ვალია და მუდამ მისი ერთგული ვიქნებით.

Академик И. Н. ВЕКУА
Президент Академии наук Грузинской ССР

ДОСТИЖЕНИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР К 50-ЛЕТИЮ ОБРАЗОВАНИЯ СССР*

